



ახალი წელიწადი



უნივერსიტეტი

17
ივნისი,
ოთხშაბათი,
2015 წ., №8



გიორგი მარგველაშვილი: ბოლოს და ბოლოს უნდა ვისწავლოთ, რომ მოვსაზრდეთ იმ ხალხს, ვინც ამაში სადოქტორო დარცვა, იძუტავა, ანის ეს საკითხი!

„ბოლოს და ბოლოს უნდა ვისწავლოთ და მოვსაზრდეთ იმ ხალხს, ვისაც საკითხი ესმის“, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა სასტუმრო „ლევილი“ სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მონახულებისას განაცხადა.

ქვეყნის პირველი პირის შეფასებით, თბილისში ორი დღის წინ მომხდარი ტრაგედია ყველაზე მეტად დაზარალებული უნდა იყოს.

„რაც სერიოზული შეცდომებია დაშვებული, რომელმაც ამასთან მიგვიყვანა. საბოლოოდ, ეს არის ჩვენთვის გაკვეთილი. არ შეიძლება, ადიდდეს ერთი ხევი და 10-ზე მეტი ადამიანი დაიღუპოს, რამდენიმე ათეული კი უგზო-უკვლოდ დაიკარგოს. მსგავსი საკითხები ბოლოს და ბოლოს უნდა გადავწყვეტინოთ პროფესიონალებს და არა პოლიტიკოსებს. მე არ უნდა ვთქვა, „ეს აქ აშენდეს ან არ აშენდეს“. ბოლოს და ბოლოს უნდა ვისწავლოთ, რომ მოვსაზრდეთ იმ ხალხს, ვინც ამაში სადოქტორო დარცვა, იმუშავა, ესმის ეს საკითხი. ნამდვილად აღარ შეიძლება ასე სტიქიურად ცხოვრება — სადაც ვილაკამ მოინდომა და ააშენა, არ მოინდომა და არ ააშენა. ამდენი ადამიანის დაკარგვა ის გაკვეთილია, რომლითაც ბოლოს და ბოლოს უნდა მიხედვ, რომ შევკითხო იმ ხალხს, ვისაც ესმის“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

„ინტერპრესნიუსი“

ტსუ-ის თანადგომა



ტსუ ჰიდრომეტეოროლოგიის ლაბორატორიის ტერიტორია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მშსხარეაბს გამოთქვას 13 ივნისს თბილისში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას დაეხმოს.

სტიქიამ იმსხვერპლა ტსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის მანქანათმშენებლის ორი სტუდენტი — გარდაცემულია და ივლიტა ჯიბუტი. ტსუ თანადგომას გამოხატავს მათი ოჯახების მიერ.

ამასთან, სტიქიამ მთლიანად გაანადგურა მდინარე ვარკის ხეობაში მდებარე ტსუ ჰიდრომეტეოროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია. საბედნიეროდ, სტიქიის დროს ტსუ დატოვა და უსაფრთხოების საზღვრის თანამშრომლებმა მოახერხა ლაბორატორიის შენობის დროულად დაზარალება და გარშემოწერილობის დაზარალება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოხატავს მზალმზუნველობას სტიქიასთან ბრძოლისა და პრევენციისთვის საჭირო საციალისტაბით დახმარების თაობაზე.



ივლიტა ჯიბუტი და მარინა ქუთელია

ტსუ-ის წარმომადგენლებმა განადგურებული ლაბორატორიის ტერიტორია დაათვალიერეს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლებმა, ტსუ-ის ჰიდრომეტეოროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის მეცნიერთანამშრომლებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა 13 ივნისს თბილისში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად განადგურებული ტსუ-ის ჰიდრომეტეოროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ტერიტორია დაათვალიერეს.

ტსუ-ის რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „სამწუხაროდ, ტსუ-ის ჰიდრომეტეოროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ერთი შენობა მთლიანად დანგრეულია, მეორე შენობა დაზარალებულია. ეს ლაბორატორია საჭიროა ქვეყნისთვის. ჩვენი სპეციალისტები უმოკლეს დღეებში დადებენ კონკრეტულ რეკონსტრუქციებს, თუ არის გასაკეთებელი, რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ მსგავსი კატასტროფა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს ლაბორატორია აღდგეს და ამ საქმეში მთავრობის დახმარების იმედი გვაქვს“.

„ჰიდრომეტეოროლოგიური ლაბორატორია, სამწუხაროდ, ძალიან დაზარადა.

განადგურდა და დაზიანდა ლაბორატორიის აპარატურა, ხელსაწყო-იარაღები, სახელმძღვანელოები. ლაბორატორიაში გარდა სამეცნიერო კვლევებისა, ინტენსიური სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა. მხოლოდ გაზაფხულის სემესტრში ტსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის 500-ზე მეტმა სტუდენტმა გაიარა ლაბორატორიაში სალექციო და პრაქტიკული კურსები“, — აღნიშნა ტსუ-ის ჰიდრომეტეოროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, გეოგრაფიის დოქტორმა მერაბ ალავერდაშვილმა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული ჰიდრო-მეტეოროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია 1962 წლიდან ფუნქციონირებდა. იგი ტერიტორიულად ვაკე-საბურთალოს რაიონში, მოეპო, მდ. ვერეს ხეობაში, მის სანაპიროზე მდებარეობდა და 0,6 ჰა-მდე ფართობი ეკავა.

ლაბორატორიის დაარსების ძირითადი მიზნები 1960 წელს მდინარე ვერეს კატასტროფული წყალმოვარდნა იყო, რომლის შედეგადაც დაიტბორა ზოოპარკი და მდი-

ნარე ვერეს ჭალაში მდებარე საცხოვრებელი სახლები. აუცილებელი გახდა მდინარე ვერეს ჰიდროლოგიური რეჟიმის დეტალური შესწავლის აუცილებლობა, უწყვეტი მონიტორინგის რეჟიმი და ამ პროცესის მეცნიერულ დონეზე ორგანიზაცია წარმოადგენდა.

ლაბორატორია დღიდან დაარსებისა ჩართული იყო ფაკულტეტის სასწავლო პროცესში და აქ ყოველ სემესტრში ასეულობით სტუდენტისათვის ინტენსიურად ტარდება ლექციები და პრაქტიკული სამუშაოები. ლაბორატორიაში, ზაფხულის პერიოდში, სასწავლო-საგველე პრაქტიკებს გადიოდნენ როგორც ტსუ-ის, ასევე, სხვა უმაღლესი სასწავლებლების (ტექნიკური, აგრარული და სოხუმის უნივერსიტეტები) სტუდენტები. გარდა ამისა, აქ ტრენინგებს გადიოდნენ საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლებიც.

ლაბორატორიის ტერიტორიაზე მდებარეობდა ორი კორპუსი, სადაც განლაგებული იყო აუდიტორიები და სამუშაო ოთახები, ასევე ბიბლიოთეკა, ორი მეტეოროლოგიური, წყალსაზომი საგუშაგო დაკიდული ჰიდრომეტრიული ხიდი, მდინარის დონეების თვითმხერი დანადგარი. ლაბორატორიაში წარმოებდა მდ. ვერეს ჰიდროლოგიური რეჟიმის შესწავლა და დაკვირვებები. კერძოდ, ყოველდღიური დაკვირვებები მდ. ვერეს წყლის

დონეებზე, ტემპერატურაზე და ხდებოდა წყლის ხარჯების გაზომვები. აღსანიშნავია, რომ ლაბორატორიაში მოპოვებული მასალებით სარგებლობდა საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტო. ქუჩას, სადაც მდებარეობდა ლაბორატორია, მინიჭებული აქვს მისი ერთ-ერთი დამაარსებლის აკადემიკოს გივი სვანიძის სახელი, ხოლო ლაბორატორიაში არსებულ აუდიტორიას კი - პროფესორ ნოე უკლებას სახელი.

აღნიშნული ლაბორატორია თავისი ფუნქციური დანიშნულებით მეტად მნიშვნელოვანი იყო ტსუ-სთვის. აქ მოპოვებული მასალები კი ძალზე აქტუალურია თბილისის მდამოების თანამედროვე ეკოლოგიური მდგომარეობის შესაფასებლად. განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ ის ერთ-ერთი იყო საქართველოში შემორჩენილ მცირე რაოდენობის სადგურებს შორის.

აღნიშნული ლაბორატორია მალაქ და ნეზე შეაფასეს უცხოელმა ექსპერტებმა და შეთანხმების შედეგად გადაწყდა მისი საერთაშორისო სამეცნიერო პროგრამაში „წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა“ სასწავლო-საბაზო ცენტრად გამოყენება.

ტსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი



ირევანა თუ არა სტუდენტთა უფლებები?

ირევანა თუ არა სტუდენტების უფლებები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში? ან სად, როდის და როგორ? რამდენად არის ინფორმირებული საუნივერსიტეტო საზოგადოება — სად გადის ზღვარი უფლებასა და მოვალეობას შორის? — ეს კითხვები უკვე დიდი ხანია აქტუალურია და სწორედ ამიტომ, სტუდენტებისთვის მათი უფლება-მოვალეობების უკეთ გაცნობის მიზნით, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტმა ახალი პროექტი დაიწყო.

სტუდენტების უფლებები და მოვალეობები

პროექტის ფარგლებში რამდენიმე ლექცია და შეხვედრა ჩატარდა. მათ შორის იყო თსუ-ის ასისტენტ-პროფესორის, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის ხელმძღვანელის დიმიტრი გეგენავას საჯარო ლექცია ლექტორთა უფლება-მოვალეობების შესახებ.

„გადაწყვიტეთ, რომ სტუდენტების უფლებების შესახებ ახალგაზრდებისთვის მეტი ინფორმაცია მიგვეწოდებინა. საჯარო შეხვედრებისა და ლექციების ციკლი მომავალ სემესტრებში აუცილებლად გაგრძელდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2015-2016 წლის

საშემოდგომო სემესტრი, რადგან ვგეგმავთ, პირველკურსელებს სტუდენტთა უფლება-მოვალეობები დაწვრილებით გავაცნოთ. აუცილებელია, იცოდნენ, როგორ არ უნდა დაირღვეს მათი უფლებები, რა უნდა გააკეთონ ამისათვის? დავებეჭდავთ სპეციალურ საინფორმაციო ფლაერებსაც“, — განაცხადა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თეონა მინდიაშვილმა.

საჯარო ლექცია ლექტორთა უფლება-მოვალეობების თემაზე 4 ივნისს გაიმართა. შეხვედრა, ძირითადად, კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. თსუ-ის ასისტენტ-პროფესორმა დიმიტრი გეგენავამ პროფესორებისა და სტუდენტების ურთიერთობები მიმოიხილა. ისაუბრა, ახლა რა ვითარებასა და პირობებში უნევთ პროფესორებს მუშაობა და, ზოგადად, როგორი იყო მათი უფლება-მოვალეობები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტო-



რიაში. საკითხები საკმაოდ მრავალფეროვანი გახლდათ: საბჭოთა კავშირის პერიოდში დევნა განსხვავებული იდეოლოგიის გამო, დამოკიდებულება სტუდენტებთან, სტუდენტების დამოკიდებულება ლექტორების მიმართ და ა.შ. „ლექციამ ინტერაქტივის ფორმატში ჩაიარა. რაც მთავარია, იყო საინტერესო აუდიტო-

რია და სტუდენტებს ჰქონდათ მნიშვნელოვანი კითხვები. შემოძლია ვთქვა, რომ დიდი სიამოვნება მივიღე არა მხოლოდ ლექციის ნაკითხვით, არამედ ბევრ სასარგებლო საკითხებზეც დავეფიქრე. ასევე, სტუდენტების სახით მეგობარიც შევიძინე“, — აღნიშნა დიმიტრი გეგენავამ.

რამდენად ადეკვატურია სტუდენტთა მოთხოვნა საგამოცდო ცენტრის თანამშრომლების სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე?



„ყველაზე დიდი პრობლემა შემექმნა საგამოცდო ცენტრის უფროსთან ურთიერთობისას. მიუხედავად იმისა, რომ უარყოფს, პირადად მომსმენია — თუ როგორ ყვირის თავისი ოთახიდან — სტუდენტები მეზობლები, რამდენს უნდა გაუძლოს ერთმა ადამიანმა, როდემდე შეიძლება... არანაირი მიზეზი არ მაქვს, რომ ვიტყუებოდ... როდესაც მუშაობ დანესებულებაში, სადაც 20 000-მდე სტუდენტი სწავლობს, მინიმუმ, ახალგაზრდების მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულება უნდა გქონდეს. არ მიმართა სწორად, როდესაც საგამოცდო ცენტრის უფროსი საშუალო საათებში სიცხიანს მალოდინებს დაქალთან ტელეფონზე ჭორაობის გამო. გარდა ამისა, მიუღებლად მიმართა სიგარეტის მონევა კაბინეტში, სადაც უამრავი სტუდენტი შემოდის და რომელიმე მათგანს, შესაძლოა, სუნზე ალერგიაც ჰქონდეს. ადამიანი, რომელსაც სტუდენტის გადახდილი ფულიდან უხდიან ხელფასს, ვალდებულია, მოგემსახუროს და არ გეუხეშოს“, — აღნიშნა იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა ვერიკო გედენიძემ.

სტუდენტი თუ გააბრაზებს საგამოცდო ცენტრის თანამშრომელს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს დამოკიდებულება სხვა სტუდენტებზეც უნდა გადაიტანოს“, — განაცხადა იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა, თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა ირაკლი კუპრაძემ.

„საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებთან და დამკვირვებლებთან პრობლემები არ შემქმნია, მაგრამ საყვედურები სხვა სტუდენტებისგან მსმენია. ზოგადად, იგრძნობა, რომ ამ სისტემაში სტუდენტების მიმართ პერსონალის დამოკიდებულება პრობლემურია. გამოცდების ქულების sms.tsu.ge-ზე ატვირთვასთან დაკავშირებითაც არ მაქვს პრეტენზიები. არ მახსენდება, რომ შედეგები დაყოვნებით მოეწოდებინათ“, — გვითხრა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა სალომე ქეშელაშვილმა.

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ დამკვირვებლების მხრიდან სტუდენტების მიმართ არაეთიკური დამოკიდებულების შემთხვევების გამოვლენის პრევენციის მიზნით ყველა მოწვეულ დამკვირვებელს თან ექნება სპეციალური „ბეიჯი“ სახელი და გვარის წარწერით, რათა სტუდენტებმა პრეტენზიების შემთხვევაში პიროვნების იდენტიფიცირება და საგამოცდო ცენტრისთვის მიმართვა შეძლონ. გადანერების თუ სხვა სახის ინციდენტის გამოვლენის თავიდან ასარიდებლად, უკვე გამოცხადებულია ტენდერი ვიდეოკამერებისა და ხმის ჩამწობი აპარატურის შეძენისთვის.

სტუდენტებთან შეხვედრას ესწრებოდა თსუ-ის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ერომი ქეშელაშვილი, რომელიც სტუდენტებს დაჰპირდა, რომ თსუ-ის ბიბლიოთეკის შენობაში სასმელი წყლის ონკანი ცალკე დამონტაჟდება და უნივერსიტეტის ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, ინფრასტრუქტურა შეძლებისდაგვარად კიდევ გაუმჯობესდება.

რაც შეეხება თსუ-ის საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებისა თუ დამკვირვებლების მხრიდან ეთიკური ნორმების დარღვევას, ამის შესახებ ცენტრის უფროსს მათი ჩივილიდან ვსაუბრებთ.

„სტუდენტი თავისას ამბობს და თვლის, რომ მართალია. რატომღაც ჩვენ ვართ ყოველთვის მტყუანი. ძირითადად, სტუდენტი უკმაყოფილოა მაშინ, როდესაც თავისას ვერ მიაღწევს. ამ დროს კი ჩვენ ყველა ვემორჩილებით რეგულაციას, რომელიც აკადემიური საბჭოს მიერ არის დამტკიცებული. თუმცა, საკმარისია სტუდენტებმა მიიღონ უარყოფითი პასუხი, მაშინვე საოცრად აგრესიულები ხდებიან. არ ვამბობ, რომ გადაც-

დომა არ ხდება, შესაძლებელია, დამკვირვებელმა ტონს აუწიოს და ა.შ. ეს ინფორმაცია აუცილებლად ჩემამდე უნდა მოვიდეს და შესაბამისად ვიმოქმედებთ. ისინი არ არიან უნივერსიტეტის თანამშრომლები, მათ მხოლოდ საგამოცდო პერიოდში ვინვევთ და დარღვევა თუ გამოვლინდება, მათთან ხელშეკრულებას აღარ გავფორმებთ. სხვათა შორის, აღწერ სტუდენტებმა გამოცდების მონიტორინგი განახორციელეს. დამკვირვებელთა ჯგუფში შედიოდნენ როგორც თვითმმართველობის წევრი, ასევე, დამოუკიდებელი სტატუსის სტუდენტებიც. მათ დადეს დასკვნა და გვითხრეს: „რა დღეში ყოფილხართ?“ იმდენად ბევრი დარღვევა შენიშნეს, მათ შორის გადწერა, უზრდელობა... გამოცდების დროს დარბაზში 490 სტუდენტი, საინტერესოა, მათგან მხოლოდ ორს ან სამს რატომ ექმნება პრობლემები, თუ ისინი თავადაც არ აძლევენ საბაბს?

გამოცდების შეფასებების გადატანა რეგულაციის მიხედვით გვევალება ნიშნების მიღებიდან 2 საშუალო დღის ვადაში. შეხვედრაზეც ვთქვი და ახლაც ვამბობ, რომ ნიშნები მაქსიმუმ მეორე დღეს 3 საათამდე ბაზაშია შეტანილი. სასურველია, ამ პროცესის მონიტორინგი განახორციელდეს და თავადაც დარწმუნდებიან.

ფულსაკეცნია, როდესაც სტუდენტს ელაპარაკები ერთს და სხვანაირად აღიქვამს. შეხვედრაზე ერთი სტუდენტი მედავებოდა, რომ მას ყვირილით მივმართე. ეს ამბავი ასე მოხდა — ჩემს კაბინეტში ვიჯექი, კარები ნახევრად დახურული იყო და მხოლოდ მას შემდეგ გამოვეხმაურე მის მოთხოვნას, რაც ცენტრის თანამშრომელმა მას გამოცდის ჩატარების 4 ალტერნატიული თარიღი შესთავაზა, მან კი ყველაზე უარი განაცხადა. ოდნავ ხმამაღლა გავძახე, რომ დანაწიანი ხომ ხართ, გაიგეთ, მეტის საშუალება ჩვენ არ გავაჩანია! სტუდენტი კი მეუბნება — არაადამიანური გვიწოდებო... თუ ჩემი ნათქვამი ამ კონტექსტში მოიაზრება, მაშინ ბოდიშს მოვიხდით“, — განაცხადა თსუ-ის საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელმა მათა ჩილინაძემ.

სტუდენტებისა და საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის შეხვედრაზე, თსუ-ის რექტორის დავალებით, მისი თანამშენვენი გიორგი ბენაშვილიც იმყოფებოდა. მიზანი ორივე მხარის პოზიციების მოსმენა და პრობლემის შესწავლა გახლდათ.

„ამ შეხვედრაზე რექტორის დავალებით ვიმყოფებოდი, რომ ორივე მხარისთვის მოემსმინა. ბუნებრივია, როდესაც 19 000 სტუდენტი აბარებს გამოცდას, შესაძლოა გარკვეული პრობლემები შეიქმნას. მთავარია, მათი ზუსტი იდენტიფიცირება მოხდეს. შეხვედრაზე სტუდენტების პირადი პრობლემები და ემოციური ფონზე მიღებული დასკვნები მოვისმინე. ვფიქრობ, საკითხი მოგვარებადია“, — აღნიშნა გიორგი ბენაშვილმა.

სექტემბრიდან ამოქმედდება ახალი კომპიუტერული პროგრამა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონულ სასწავლო ბაზას გააუმჯობესებს და მათ შორის საგამოცდო ცხრილს უკეთესად დაარეგულირებს. ახალ პროგრამას გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვს, ვიდრე ამჟამად მოქმედს და, შესაბამისად, საგამოცდო ცხრილის განერისას მომხმარებელს ყველაზე უპრობლემოდ ვარიანტს ავტომატურად შესთავაზებს.

მომზადდა ნატო მკოლაძემ



ტსუ-ში პროფესორთა არჩევის ვადა იზრდება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორთა არჩევის ვადა იცვლება. ნაცვლად 6-6 წლისა, ასოცირებული პროფესორები 7 წლით, სრული პროფესორები კი 9 წლით აირჩევიან. ტსუ-ის წარმომადგენლობითმა საბჭომ აღნიშნული ცვლილებები 29 მაისის სხდომაზე განიხილა და ერთხმად მიიღო. შედეგად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 29-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა: „1. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, 9 წლის ვადით, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება. 2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, 7 წლის ვადით, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება“.



ნათო მობლაძე

„არც თუ ისე დიდი ხნის წინ იურიდიულ ფაკულტეტზე მქონდა შეხვედრა, სადაც სრული პროფესორის არჩევის ვადის 10 წლამდე გაზრდის საკითხი წამოიჭრა, თუმცა ასოცირებული პროფესორის თაობაზე არ გვისაუბრია. ვისაუბრეთ, გავანალიზეთ ჩვენი ფინანსური რესურსი და მივედით დასკვნამდე, რომ სრული პროფესორის და ასოცირებული პროფესორის არჩევის ვადის ერთნაირად გაზრდას აზრი არ ჰქონდა. მიზეზი მარტივია, 2017-2018 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საკმაოდ რთული პრობლემა აქვს გადასალახი. სწორედ იმის გამო, რომ დღეის მდგომარეობით, პროფესორები 6-6 წლით აირჩევიან, ფაკულტეტებზე მასობრივი არჩევნები იქნება ჩასატარებელი. ამის გამო, შესაძლოა, აკადემიური პერსონალის ფუნქციონირებას სერიოზული პრობლემა შეუქმნას. შესაბამისად, ვადები აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს. რატომ დავტოვებთ პრობლემას მემკვიდრეობით, თუ მისი გამოსწორება ახლავე შეგვიძლია? რაც შეეხება ასისტენტ-პროფესორის არჩევის ვადას, ამ საკითხს ჩვენ ვერ შევეხებით, რადგან კანონშია განყრდილი“, — განაცხადა ტსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ.

29-ე მუხლის I და II პუნქტები, სადაც ასოცირებული და სრული პროფესორების არჩევის ვადის ცვლილება გაიწერა, გათვალისწინებულია, რომ ძალაში 2016 წლის 1 სექტემბერს შევა. სავარაუდოდ, ამ დროისთვის ამოქმედდება პროფესორებისთვის სავალდებულო ახალი სტანდარტები სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით. რო-

გორც იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა ნონა თოდუამ განაცხადა, შედეგად პროფესორთა ანაზღაურება არ იზრდება და ეს საკითხი აუცილებლად განსახილველია. „კარგია, რომ ასოცირებული და სრული პროფესორების არჩევის ვადები გაიზარდა. ეს სწორი გადაწყვეტილებაა, რადგან თუ აკადემიურ პერსონალს ერთდროულად ამოეწურება მუშაობის დრო, საკონკურსო კომისიამ ვინ მოიხივით? ადრე მახინჯი პრაქტიკა იყო, კომისიის წევრებმა პრაქტიკოსებს ან ხელისუფლების წარმომადგენლებს იწვევდნენ, რომლებიც პოლიტიკურად მოტივირებულნი იყვნენ და დაიწყებდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერ-

სიტეტის 29-ე მუხლში შეტანილი ცვლილება ასეთ პრეცედენტებს გამოიწვევს. ამავე დროს, მინდა აღვნიშნო, რომ პროფესორთათვის სასწავლო და აკადემიური მინიმალური სტანდარტები დაწესდება, რაც შრომის გაორმაგებას, თუმცა ანაზღაურების გაზრდას არ გულისხმობს. სამწუხაროა, რომ ჯერჯერობით არავინ სვამს საკითხს – თუ პროფესორს დატვირთვას ვუზრდით, ხელფასიც ადეკვატური მივცით“, — განაცხადა ნონა თოდუამ. ამ დროისთვის დადგენილების — „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების დადგენის“ პროექტი შემუშავების პროცესშია.

„მოდერნიზაციის კომისიის შემადგენლობაში, რომელიც ამ საკითხზე მუშაობს, ფაკულტეტების, დეპარტამენტების, ადმინისტრაციის წარმომადგენლები არიან განეწვენილებული. კომისიას ტსუ-ის რექტორის მოადგილე იოსებ სალუქვაძე ხელმძღვანელობს. დადგენილების პროექტზე მუშაობის დასრულების შემდეგ დოკუმენტი ფაკულტეტების წარმომადგენლებთან ერთად კიდევ ერთხელ განიხილება და შემდეგ წარედგინება აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს. გადაწყვეტილია, რომ შრომის ანაზღაურების წესი დაეფუძნება ახალ პრინციპებს. რაც შეეხება ანაზღაურების ოდენობას, ამის თაობაზე ვერაფერს მოგახსენებთ“, — განაცხადა ტსუ-ის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა არჩილ კუკულავამ.

29 მაისის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანეს, რომელიც ტსუ-ში პროფესორთა უვალოდ არჩევას ითვალისწინებს. 29-ე მუხლის მეხუთე პუნქტს დაემატა მეხუთე პრიმა მუხლი შემდეგი ჩანაწერით: „პროფესორის თანამდებობაზე არჩეულ პირთან შესაძლოა გაფორმდეს უვალო შრომითი ხელშეკრულება“. „ეს არის სიახლე – საუბარია უნივერსიტეტში სრული პროფესორისთვის უვალო ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობაზე. ამავე მუხლის მე-6 პუნქტში განვირგნო, რომ უვალო ხელშეკრულების გაფორმების პირობები აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების მიერ განისაზღვრება“, — აღნიშნა არჩილ კუკულავამ.

„ბევრს ვსაუბრობთ ტენუარის შესახებ, თუმცა მის შემოღებას საკმაოდ რთული მექანიზმი აქვს. ტენუარს ვერ მისცემ ადამიანს, თუ ვერ მისცემ მისასვლელი გზა არ მისაწავლე. ამ საკითხზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროშიც მიმდინარეობს მუშაობა, მაგრამ საბოლოოდ ჩამოყალიბებული

ლბი ჯერ არ არიან. ჩვენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში პროფესორის მუდმივ პოზიციასთან დაკავშირებით უწყინარი ჩანაწერი გვაჩინეთ. ბუნებრივია, ეს საფუძველს გვაძლევს და ადმინისტრაციაში შესაბამისი დებულებაზე მუშაობა დაიწყება, სადაც გაიწვენილება — თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პროფესორი, რომელსაც მუდმივ პოზიციასზე ავირჩევთ. დებულების პროექტი ფაკულტეტებთან ერთად განიხილება. ვფიქრობთ, რომ დებულების მიღებას, კონსულტაციის პირობების დაცვით, 2016 წლის პირველ სექტემბერამდე მოვასწრებთ“, — განაცხადა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ტსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, მაგისტრანტმა ლევან ლორთქიფანიძემ აღნიშნულ საკითხს სპეციალური ბლოგიც მიუძღვნა, სადაც აღნიშნა, რომ ცვლილებები რეგულაციური და აკადემიური კონკურსების პირობების გამკაცრება მოითხოვს.

„ტსუ-ის სენატის წევრმა დამოუკიდებელმა სტუდენტებმა ხმა მივეცი ცვლილებების რეგულაციურ პროექტს. თუმცა, საუნივერსიტეტო საზოგადოების განათხოვრებით, რომ პროფესორთა მრავალწლიანი ან უვალოდ არჩევის შემთხვევაში მაქსიმალურად გამკაცრდეს აკადემიური კონკურსის პირობები. პროფესორთა უვალოდ დანიშვნის წესის შემუშავება მომავალ სხდომებზე იგეგმება. ჩვენ ვიბრძოლებთ, რომ უნივერსიტეტში აკადემიურ პირთა შერჩევის დროს საერთაშორისო რეფერირების მექანიზმის გამოყენება დაიწყოს“, — ნერს ლევან ლორთქიფანიძე.

ტსუ-ის პროფესორთა არჩევის ვადის ცვლილებების პროექტი, რომელსაც ტსუ-ის აკადემიურმა და წარმომადგენლობითმა საბჭოებმა მხარი დაუჭირეს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში უკვე გადაგზავნილია. დოკუმენტი მინისტრის თამარ სანიკიძის ხელმოწერის შემდეგ შევა ძალაში.

ტსუ-ის ჰიზნის შესარჩევად დროებითი სამუშაო ჯგუფი შეიქმნა

ნათო მობლაძე

ტსუ-ის სენატმა დროებითი სამუშაო ჯგუფი დაამტკიცა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰიზნის შესარჩევ საორგანიზაციო საკითხებზე იმუშავებს. ინიციატივა ტსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს ზურაბ გაიპარაშვილს ეკუთვნის. „წინა თვეების განმავლობაში ჩვენ აქტიურად ვიმუშავეთ გერბისა და დროშის საკითხებთან დაკავშირებით. ახლა უკვე გვაქვს ნორმატიული დოკუმენტი, რომლის თანახმადაც უნივერსიტეტს დამტკიცებული დროშა და გერბი აქვს. თუმცა, არ არსებობს დამტკიცებული დოკუმენტი, რის მიხედვითაც უნივერსიტეტს აქვს ჰიზნი. რამდენიმე ხნის წინ ჩვენთან მოსული იყო პროფეს-

ორი, რომელმაც მოგვასმენინა ნაწარმოები. ამიტომ, შევთავაზე წარმომადგენლობით საბჭოს, რომ შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს პირობებს, წინადადებებს, გამოაცხადებს კონკურსს და შექმნის საკონკურსო კომისიას. გამარჯვებული ნაწარმოები, თუ უნივერსიტეტის სენატი მხარს დაუჭერს, უნივერსიტეტის ჰიზნი გახდება“, — აღნიშნა ზურაბ გაიპარაშვილმა. ტსუ-ის წარმომადგენლობითმა საბჭომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰიზნის შესარჩევ დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრად 8 წევრი დაამტკიცა: ზურაბ გაიპარაშვილი, ირაკლი კუპრაძე, ლია გოდერძიშვილი, შალვა საბაური, ბექა დადუშელიანი, ლია მაჭავარიანი, გიორგი ოთხმეზური და ბექან თუთბერიძე. ტსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ რეკომენდაციის სახით მათ რამდენიმე წინადადებაც შესთავაზა:

„მიგვაჩნია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰიზნად გამოცხადება ნებისმიერი კომპოზიციისთვის დიდი პატივია და ამისთვის ანაზღაურება არ უნდა გადავიხადოთ. სასურველია, თუ წარმადგენილი მუსიკალური ნაწარმოების ავტორების ვინაობა საკონკურსო კომისიის წევრებისთვის ცნობილი არ იქნება. და ასევე, თუ კომისიას არც ერთი შემოთავაზებული მუსიკა არ მოეწონება, დავეტოვოთ მას უფლება — საკითხს განსახილველად სენატს რეკომენდაცია არ მისცეს“. ტსუ-ის სენატმა ჰიზნის შესარჩევი დროებითი სამუშაო ჯგუფი 29 მაისს დაამტკიცა. ჯგუფის პირველი შეხვედრა, სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში გაიმართება. ამ საკითხის შესახებ სიახლევს გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ პერმანენტულად შემოგთავაზებთ.



ფაკულტეტის საბჭო დოქტორანტურაში სწავლის გადასახადთან დაკავშირებით სტუდენტთა განცხადებებს ეხმაურება

თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 9 მარტის გადაწყვეტილების შესაბამისად, ფაკულტეტის საბჭომ შეისწავლა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტების — მანუჩარ გვარამიას, ნინო თურქაძის, ელენე ლომაძის, ნათია მზარეულიშვილის, მანონი კურტიანიძისა და ნათია ჯალაღონიას განცხადება დოქტორანტურაში სწავლის გადასახადთან დაკავშირებით და დაადგინა შემდეგი:

1. დოქტორანტების განცხადებაში ნათქვამია: „სწავლის გადასახადი ძვირდება“. ფორმულირება არ არის სწორი. კერძოდ, სწავლის სემესტრული გადასახადი არის 1125 ლარი და თსუ-თან შესაბამის ხელშეკრულებაზე დოქტორანტებს ხელი აქვთ მოწერილი. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის №77/2011 დადგენილებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია დაანესოს შედეგით და სწორედ ამ შედეგითაა ოდენობას აპროტესტებენ დოქტორანტები. კერძოდ, ისინი ითხოვენ დამატებით შედეგათებს დამატებით სემესტრებში, დეტალები მოცემულია ცხრილში:

სემესტრი	სწავლის საფასური	გადასახადი	შედეგით	დამატებით მოთხოვნილი შედეგით
I	1125	150	975	
II	1125	150	975	
III	1125	150	975	
IV	1125	150	975	
V	1125	150	975	
VI	1125	150	975	
სულ	6750	900	5850	
I დამატებითი	1125	300	825	150
II დამატებითი	1125	600	525	450
სულ	9000	1800	7200	600
III დამატებითი	1125	1125	0	975
IV დამატებითი	1125	1125	0	975
სულ	11250	4050	7200	2550

2. განცხადებაში ნათქვამია, რომ უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურა არ არის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი და ამის გამო იღებენ დოქტორანტები დამატებით სემესტრს. ეს ინფორმაცია არ არის სწორი, რადგან:

ა. დამატებით სემესტრს იღებენ ის დოქტორანტებიც, რომლებსაც არ ჭირდებათ ლაბორატორია, მაგალითად თეორიული ფიზიკა და მათემატიკა, იხილეთ დამატებით სემესტრში დაცული დისერტაციების სტატისტიკის შესაბამისი ცხრილი.

სემესტრი	დაცული სადისერტაციო ნაშრომების რაოდენობა									ჯამი
	მათ.	ფიზ.	ქიმია	ბიოლ.	გეოგ.	გეოლ.	კომპ. მეცნ.	ელ. და ელ. ინჟ.	გამოყ. ეკოლ.	
1-ლი დამ		1								1
მე-2 დამ	1					1				2
მე-3 დამ	1	1	1	1		1				5
მე-4 დამ				2					1	3
სულ	2	2	1	3		2	-	-	1	11

ბ. ინფრასტრუქტურა განსხვავებულია მიმართულებების მიხედვით. ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრის გამგის, პროფესორ ბეჟან ჭანკვეტაძის განცხადებით, მისი ლაბორატორიის ინფრასტრუქტურა არის თანამედროვე და სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია დისერტაციის შესრულება თსუ-ში. იგივეს აცხადებს ამავე მიმართულების ასოცირებული პროფესორი მარინა რუხაძე, დოქტორანტ მანუჩარ გვარამიას ხელმძღვანელი. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ დოქტორანტ გვარამიას სხვა დოქტორანტებთან და მის სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად აქვს სამი პუბლიკაცია იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში და ამ პუბლიკაციებისთვის მასალა მომზადებულია თსუ-ში.

გ. შეუძლებელია ნებისმიერ ლაბორატორიაში ყველა ხელსაწყო იყოს თავმოყრილი და თუ დოქტორანტი შეიცვლის კვლევის მეთოდს ან მოისურვებს კვლევის სხვაგან გაგრძელებას, როგორც ეს მოხდა დოქტორანტ მ. გვარამიას შემთხვევაში, ეს არ შეიძლება გახდეს თსუ-ის დადანიშნულების საფუძველი.

3. განცხადებაში ნათქვამია, რომ დოქტორანტები მიემგზავრებიან მსოფლიოს წამყვან ცენტრებში კვლევების ჩასატარებლად. გვინდა განვაცხადოთ, რომ

ა. მოხარული ვართ, რომ ხელს ვუწყობთ დოქტორანტებს სამუშაო შეასრულონ მსოფლიოს წამყვან ცენტრებში, რაში დიდი წვლილი აქვს თსუ-ში მიღებულ განათლებას, თსუ-ში შესრულებულ კვლევით სამუშაოებს, დოქტორანტების ხელმძღვანელების სამეცნიერო კონტაქტებს, თსუ-ს მიერ გაფორმებულ ან მხარდაჭერილ ხელშეკრულებებს, მაგალითად იულისის კვლევით ცენტრთან, რომლის ფარგლებშიც გაემგზავრა დოქტორანტი მ. გვარამია საზღვარგარეთ.


ბ. დოქტორანტების მივლინებები უცხოურ უნივერსიტეტებში საჭიროა არა მხოლოდ საზღვარგარეთ არსებული ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით. დოქტორანტების სხვადასხვა კვლევით ცენტრებში გაგზავნა მთელ მსოფლიოში მიღებული პრაქტიკა და მნიშვნელოვანია სადოქტორო დისერტაციების სწრაფად შესრულების თვალსაზრისით.

4. განცხადებაში ნათქვამია, რომ მათ თსუ-ის დოქტორანტის სტატუსი სჭირდებათ გრანტის მოსაპოვებლად. ეს ინფორმაცია სწორია და მოხარული ვართ, რომ ხელს ვუწყობთ დოქტორანტებს გრანტების მოპოვებაში. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დოქტორანტებისთვის გამოყოფილი გრანტი ასევე ითვალისწინებს სწავლის გადასახადის დაფარვას მიღებული დაფინანსების ფარგლებში და იმ დოქტორანტებს, ვინც დაფინანსება მოიპოვა, შეუძლიათ სწავლის გადასახადი დაფარონ გრანტიდან, ისე როგორც ამას სხვა ფაკულტეტის ან სხვა უნივერსიტეტის, მაგალითად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები აკეთებენ.

5. განცხადებაში ნათქვამია, რომ დოქტორანტები დამატებით სემესტრს „სიზარმაცის გამო“ არ იღებენ. დამატებითი სემესტრის აღების მიზეზი ალბათ განსხვავებულია სხვადასხვა დოქტორანტის შემთხვევაში. საერთო საფაკულტეტო სიტუაციის ანალიზი კი არჩვენებს, რომ დოქტორანტების საერთო აქტივობა არის დაბალი როგორც სწავლის, ასევე კვლევის თვალსაზრისით, კერძოდ:


ა. დოქტორანტების ნაწილი ვერ ასრულებს სასწავლო კომპონენტს პირველი ექვსი სემესტრის განმავლობაში, დეტალური ინფორმაცია მოცემულია დამატებითი სემესტრის სტუდენტების მიერ სასწავლო კომპონენტების შესრულების ცხრილში

სტუდენტთა რაოდენობა სადოქტორო პროგრამების მიხედვით	შესრულ. რაოდ.	შესასრულ. რაოდ.	საერთო რაოდ.	დასასრ. წილი %
ფიზიკა	2	2	4	50
მათემატიკა	4	8	12	66,67
კომპ. მეცნ.	8	5	13	38,46
ელექტრული ინჟინერია	0	1	1	100
ქიმია	6	4	10	40
ბიოლოგია	6	3	9	33,33
გეოგრაფია	2	1	3	33,33
გეოლოგია	2	1	3	33,33
გამოყენებითი ეკოლოგია	2	3	5	60
სულ	32	28	60	47



ბ. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად დოქტორანტებს ევალებათ მოხსენების გაკეთება საფაკულტეტო კონფერენციაზე, რასაც დოქტორანტების დიდი ნაწილი არ/ვერ აკეთებს, დეტალური ინფორმაცია მოცემულია საფაკულტეტო კონფერენციაზე დოქტორანტების აქტივობის ამსახველ ცხრილსა და ნახაზზე

სტუდენტთა რაოდენობა სადოქტორო პროგრამების მიხედვით	აქტიური	2015 საფ.	2014 საფ.	2013 საფ.	2014 სტუდენტური	2013 სტუდენტური
ფიზიკა	21	9	9	10	7	7
მათემატიკა	17	9	10	10	8	6
კომპიუტერული	11	6	7	10	1	5
ელექტრული ინჟინერია	4	1	1	6	2	3
ქიმია	18	13	6	18	10	11
ბიოლოგია	26	13	10	18	4	15
გეოგრაფია+ გამ. ეკო	22	8	11	19	4	11
გეოლოგია	3	3	1	7	0	3




გ. დიდი სტატუსი შეჩერებული დოქტორანტების რაოდენობა, რისი ახსნაც თსუ-ს ინფრასტრუქტურის არასრულყოფილებით შეუძლებელია. მაგალითად, კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით დამატებითი სემესტრის დოქტორანტთა საერთო რაოდენობის 92,3% აქვს სტატუსი შეჩერებული, ხოლო მათემატიკის მიმართულებით — 50%-ს. დეტალური ინფორმაცია მოცემულია შესაბამისი ცხრილსა და ნახაზზე



ფაკულტეტის საბჭო დოქტორანტურაში სწავლის გადასახადთან დაკავშირებით სტუდენტთა განცხადებებს ეხმაურება

მეოთხე გვერდიდან

სტუდენტთა რაოდენობა სადოქტორო პროგრამების მიხედვით	აქტიური სტატუსის მქონე სტუდ. რაოდ.	შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდ. რაოდ.	საერთო რაოდენობა	შეჩერებული სტატუსის %
ფიზიკა	0	4	4	50
მათემატიკა	6	6	12	50
კომპ. მეცნ.	1	12	13	92,30
ელექტრული ინჟინერია	0	1	1	100
ქიმია	4	6	10	60
ბიოლოგია	1	8	9	88,88
გეოგრაფია	1	2	3	66,66
გეოლოგია	1	2	3	66,66
გამოყენებითი ეკოლოგია	0	5	5	100
სულ	14	46	60	76,67



დ. დოქტორანტების ნაწილი, მიუხედავად მათი სურვილისა, ვერ ჩაერთო თსუ-ის მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ პროექტებში იმის გამო, რომ ვერ დააკმაყოფილა კონკურსის წინაპირობები ჰქონდა დაბალი GPA ან არ ჰქონდა წარმოდგენილი მოხსენება საფაკულტეტო კონფერენციაზე.

6. დოქტორანტების განცხადება ფაქტობრივად არის ბრალდება სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელების და დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების მიმართ, რადგან არსებული მოთხოვნების შესაბამისად სადოქტორო პროგრამა ან კონკრეტული თემა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისი მატერიალური და ინტელექტუალური რესურსის არსებობის შემთხვევაში და ეს საწყის ეტაპზე უნდა იყოს განსაზღვრული; თუ თემის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა არ არსებობს, მაშინ თემა არ უნდა გამოცხადდეს. დოქტორანტებთან, მათ ხელმძღვანელებთან საუბარმა ან/და მათმა პუბლიკაციებმა აჩვენა, რომ უსამართლობა სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელების და აქედან გამომდინარე თსუ-ის დადანაშაულება.

7. დოქტორანტების განცხადებაზე სულ ცოტა ერთი ხელმოწერა გაყალბებულია. განცხადება ასევე შეიცავს არასწორ ინფორმაციას. ზოგიერთ მედიამ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნახშირია არაეთიკური გამოთქმები ფაკულტეტის საბჭოსა და პერსონალის მიმართ, ისე რომ არავის უცდია საკითხის გარკვევა. დარწმუნებული ვართ, რომ ყალბის მქონე ან ყალბის ქმნის ხელისშემწყობი წესიერი მეცნიერი ან მოქალაქე ვერ გახდება და მოუწოდებთ დოქტორანტებს, რომ ერთდონ სიყალბეს.

8. დოქტორანტები თავიანთ განცხადებაში ითხოვენ შეღავათს, როგორც ძირითად ასევე დამატებით სემესტრში. უცხოურ უნივერსიტეტებში დოქტორანტები იღებენ გასამრჯელოს სასწავლო საქმიანობისთვის ან სამეცნიერო პროექტში ჩართულობისთვის. მიზანშეწონილად მიგვაჩნია დასავლური უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარება დამატებითი სემესტრის სტუდენტების მიმართ ისე, რომ დოქტორანტებს საშუალება მიეცეთ შესრულებული სამუშაოს ხარჯზე გადაიხადონ დამატებითი სემესტრის სწავლის გადასახადი.

9. ზემოთქმულის გათვალისწინებით არაუგვიანეს 2015 წლის პირველი ივლისისა ფაკულტეტის საბჭომ შექმნას:

- ა. კომისია, რომელიც განიხილავს დამატებითი სემესტრის დოქტორანტების განაცხადს დასაქმების შესახებ.
- ბ. დოქტორანტის განაცხადის ფორმა.
- გ. კომისიის მუშაობის რეგლამენტი.
- დ. შექმნას პროცედურა განაცხადების და გადაწყვეტილების მიღების ვადებთან დაკავშირებით.

მოლაპარაკებების სიმულაცია



ღილომატიური შეხვედრების დაგეგმვა, მოლაპარაკებების გამართვა და საერთაშორისო ურთიერთობების მოგვარება ახლა უკვე სტუდენტებსაც შეუძლიათ. „მოლაპარაკებების სიმულაცია“ — ასე ჰქვია ახალ პროექტს, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის ორგანიზებით ხორციელდება.

შურთსია ბაროშვილი

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების ცენტრალური დეპარტამენტის წევრის და პროექტების დირექტორის, პროექტის ხელმძღვანელის თამარ იზორიას ინფორმაციით, პროექტის მიზანია სტუდენტების აქტიური ჩართვა საზოგადოებრივ საქმიანობაში და ცოდნის გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით: „პროექტის ფარგლებში გაიმართება დებატები, ინტელექტუალური თამაშები, სიმულაციები და სხვა. მნიშვნელოვანია



ის გარემოება, რომ პროექტის — „მოლაპარაკებების სიმულაცია“ — ტრენინგებში მონაწილეობდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები, რომლებიც აპლიკაციების განხილვისა და გასაუბრების

შედეგად შეირჩნენ. მსურველი მართლაც ბევრი იყო, მაგრამ 200-მდე აპლიკანტიდან 20 სტუდენტი-ბენეფიციარი შეძლებს ტრენინგებში მონაწილეობის მიღებას, რაც ითვალისწინებს ინტელექტუალურ თამაშებში და დებატებში ჩართვას“, — აღნიშნა თამარ იზორიამ.

პროექტის ფარგლებში ტრენინგებს წარუძღვება ასოცირებული პროფესორი, მოლაპარაკებების კვლევისა და სწავლების ინსტიტუტის (ESSEC IRENE) ასოცირებული წევრი ტარიელ სიხარულიძე, რომელსაც მრავალწლიანი საერთაშორისო გამოცდილება აქვს. იგი ამჟამად მოლაპარაკებების სიმულაციის კურსს კითხულობს საფრანგეთის ეკონომიკურ და კომერციულ მეცნიერებათა უმაღლეს სკოლაში (ESSEC Business School Paris-Singapor) და ატარებს ლექციას კურსს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში. პროექტის პარტნიორები არიან: საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი და „მეღვინეობა ხარება“.

პროექტის ხელმძღვანელის თამარ იზორიას ინფორმაციით, პროექტში მონაწილეობა უფასოა. ამასთან, თსუ-ის ტრენინგების დასრულებისთანავე თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა გამოავლენს პროექტის ფარგლებში ყველაზე აქტიურ და მოტივირებულ სტუდენტს, რომელსაც მიეცემა პრიზი — 200 ლარის ოდენობით. თითოეულ მონაწილეს კი გადაეცემა სერტიფიკატი და პარტნიორების მიერ დაწესებული პრიზები. პროექტი 11 ივნისს დაიწყო და 20 ივნისამდე გაგრძელდება.



მედია, სამართალი და ეთიკა: თავისუფლება საზღვრებს გარეშე?



4-5 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა თსუ-სა და „დოიჩე ველე აკადემიის“ ერთობლივი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „მედია, სამართალი და ეთიკა: თავისუფლება საზღვრებს გარეშე?“. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ საერთაშორისო მედია განვითარების ორგანიზაცია „დოიჩე ველე აკადემია“, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი და იურიდიული ფაკულტეტი (DW აკადემიიდან აზიისა და ევროპის დეპარტამენტის პროექტის მენეჯერები: პანდელი პანი და პეტრა რამკევიჩი, პროექტების მენეჯერი საქართველოში ამალია ოვანჯანიანი, თსუ-დან: პროფესორები მორის შალიკაშვილი (იურიდიული ფაკულტეტი) და მარიამ გერსამია (ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი).

ინტერდისციპლინური კონფერენცია მოიცავდა შემდეგ სამუშაო პანელებს: ინფორმაციის თავისუფლება; მედია და ადამიანის უფლებები; სიძულვილის ენა; სასამართლო და მედია; მედია და ეთიკა.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ მომავალი იურისტები, მედიისა და მასკომუნიკაციის მკვლევრები, ფსიქოლოგები.

კონფერენციის ორგანიზატორებმა 6 უმაღლესი სასწავლებლიდან მიღებული 60-ზე მეტი განაცხადიდან შეარჩიეს 21 საუკეთესო მომხსენებელი. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტები. დანესებული იყო პრიზები საუკეთესო მეკითხვისა და დისკუსიამ აქტიურობისთვის.

კონფერენცია გახსნა თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ლალო პაპავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ მსგავსი კონფერენციები ხელს უწყობს პრობლემების განსხვავებული კუთხით დანახვას და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებას. „ამ თვალსაზრისით, კონფერენცია, რომელიც „დოიჩე ველე აკადემია-სთან“ ერთად ტარდება და რომელიც მედიის, სამართლისა და ეთიკის აქტიურ საკითხებს ეძღვნება, კომპლექსურად განიხილავს ამ სამ სფეროში არსებულ პრობლემებსა და ახალ მიმართულებებს. სიტყვის თავისუფლება, დემოკრატიული გარემოება, მათი სამართლებრივი უზრუნველყოფა და საზოგადოების განწყობა, თუ როგორ მიიღებს ის ინფორმაციას, ღრმად შესწავლის ობიექტია, მიმაჩნია, რომ ამგვარი კონფერენციები ხელს შეუწყობს სტუდენტური სამეცნიერო კვლევების განვითარებას“, — განაცხადა მან.

კონფერენციის მონაწილეებს ასევე მიესალმნენ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მორის შალიკაშვილი, თსუ-ის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი მარიამ გერსამია, დოიჩე ველე აზიისა და ევროპის დეპარტამენტის პროექტების მენეჯერი პანდელი პანი, იურისტი კახა მჭედლიშვილი.

კონფერენციის პირველი პანელი მიეძღვნა ინფორმაციის თავისუფლებას. მასზე წარმოდგენილი იყო 4 მოხსენება: „პოლიტიკური კომიქსები და მედია თავისუფლება“ (რუსუ-

დან კუნჭულია, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი); „Facebook-ის გამოხატვის თავისუფლება“ (ნათია ცარციძე, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი); „ინფორმაციის თავისუფლების თანამედროვე გამოწვევები“ (სალომე ფხალაძე, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი); „სარეკლამო დრო, როგორც არამატერიალური ქონებრივი სიკეთე და მისი დაცვა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით“ (ქეთევან ბუაძე, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი);

მომხსენებელთაგან განსაკუთრებული ინტერესი და დისკუსია გამოიწვია რუსუდან კუნჭულიას და სალომე ფხალაძის მოხსენებებმა. პირველ მათგანში გაანალიზებული იყო ცნობილი მოვლენა „შარლი ებდოს“ შესახებ, რომელმაც მსოფლიო რეზონანსი გამოიწვია, ხოლო მეორე მოხსენების შემდეგ კონფერენციის მონაწილენი დიდხანს კამათობდნენ — გმირობა იყო თუ მოღალატეობრივი ქმედება WikiLeaks-ის დამფუძნებლის ჟულიენ ასანჟისა და აშშ-ის დაზვერვის სამსახურის ყოფილი კონტრაქტორის ედუარდ სნოუდენის მიერ დაფარული ინფორმაციების გავრცელება.

კონფერენციის მეორე პანელზე მომხსენებლების თემა იყო მედია და ადამიანის უფლებები. მასზე წარმოდგენილი იყო ასევე 4 მოხსენება: „სად გადის ზღვარი ინფორმაციის თავისუფალ გავრცელებასა და პირადი ცხოვრების პატივისცემას შორის (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და

ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის ანალიზი)“ (გიორგი ბაღდავაძე, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი); „ბავშვთა საკითხების გაშუქება მედიაში — „რუსთავე 2“-ს, „იმედი“-ს, „აჭარა“-ს და „ტვ 25“-ს მონიტორინგი“ (ლევან ურიდია, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი); „პერსონალური მონაცემების დაცვა თანამედროვე მედია სამართალში“ (ანა სამსონია, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი); „არჩევნები და მედია“ (თინათინ მაჭარაშვილი, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი).

დისკუსიისას, რომელიც ადამიანის პირადი უფლებების და ცხოვრების ხელშეუხებლობა ეძღვნებოდა, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ბავშვთა უფლებებსა და პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობაზე. საკითხები განიხილეს უცხო ქვეყნების გამოცდილების მაგალითებზე.

მესამე სექციაზე — მედიაეთიკა, წარმოდგენეს მოხსენებები: „ეთიკური პრობლემები ონლაინ მედიაში სოციალური ქსელების გამოყენებისას“ (ნატა ძველიშვილი, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი); „გამოხატვის თავისუფლების ფარგლები Facebook-ში“ (სალომე სიგუა, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი); „თვითრეგულირების ორგანოები რეგიონულ ტელევიზიებში“ (თამარ კარელიძე, ილიას უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტი); „რელიგიური პრობლემები და ეთიკური სტანდარტი ქართულ ონლაინ მედიაში“ (სალომე გორგოძე, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი);

დისკუსიისას კონფერენციის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ სოციალური ქსელი უკვე საჯარო სივრცეა. კამათი კი გაიმართა საკითხზე, უნდა გამოხატოს თუ არა ჟურნალისტიკა პირადი შეხედულებები სოციალურ ქსელში და რამდენად უშლის ხელს მისი გამოქვეყნება მოუკერძოებლობის დაცვას ჟურნალისტურ საქმიანობაში.

სექციაზე — სასამართლო და მედია, მოხსენებები შეეხებოდა სასამართლო სხდომების გაშუქებას და მედიის ზეგავლენას მართლმსაჯულებაზე. წარმოდგენეს მოხსენებები: „კრიმინალური და სასამართლო თემების გაშუქება ბექტდურ მედიაში „ასავალ-დასავალის“, „Prime Time“-ს და „კვირის პალიტრის“ 2014 წლის ნოემბრისა და

2015 წლის აპრილის მასალების მიხედვით“ (მარიამ ჩიბუხაია, ნარიტა ჩხაიძე, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი); „მედიის ზეგავლენა მართლმსაჯულებაზე“ (მარიამ თურქიშვილი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი); „მედიის მიერ სამართლო პროცესების გაშუქება“ (თინათინ მალედანი, თამთა ჩხაიძე, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი); „ტრადიციული და სოციალური მედიის გავლენა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე“ (ელენე კავთუაშვილი, საქართველოს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი);

დისკუსიაზე, რომელიც ამ სექციაზე წარმოდგენილ მოხსენებებს მოჰყვა, გამოიკვეთა, რომ ქართული მედიასაშუალებების მიერ სასამართლო და კრიმინალური საკითხების გაშუქება ეთიკური ნორმების დარღვევით ხდება, ჟურნალისტებისთვის კი საჭიროა ამ კუთხით პროფესიული სტანდარტების ამაღლება. ამავე სესიის მოდერატორმა სერგი ჯორბენაძემ საუკეთესო მოხსენების ავტორები მარიამ ჩიბუხაია და ნარიტა ჩხაიძე სასწავლო ლიტერატურით დააჯილდოვა.

სამეცნიერო კონფერენციის ბოლო სესია მიეძღვნა სიძულვილის ენას. მასზე წარმოდგენეს 3 მოხსენება: „სიძულვილის ენა მედიაში“ (ომარ მარგველაშვილი, თამარ მამულაშვილი, აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი); „მედია ეთიკა და თვითრეგულირება (გაზეთების „ასავალ-დასავალი“, „კვირის პალიტრისა“ და „რეზონანსის“ 2014 წლის იანვრიდან აპრილის ჩათვლით გამოცემულ ნომრებზე დაკვირვების მაგალითზე“ (სოფიკო ვადაჭკორია, მარიამ მერლანი, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი); „რისი უფლება აქვს მედიას? სენსაცია და კანონები“ (თამარ კაპანაძე, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი).

კონფერენციის შემთავრებულ სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია საინტერესოდ წარიმართა, რასაც ხელი შეუწყო მოდერატორთა აქტიურმა ჩართულობამ მოხსენებთა ანალიზში და დამსწრეთა მიერ გამოვლენილმა ინტერესმა საკონფერენციო თემებისადმი. „დოიჩე ველე აკადემიისა“ და თსუ-ის ერთობლივი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია მომავალში ტრადიციად იქცევა და ყოველწლიურად გაიმართება.

მომზადდა მაია ტორაძემ

პროფესორ პიტერ ალკენს საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ პიტერ ალკენს საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, თსუ-ის პროფესორები, სტუდენტები, ქართული უროლოგიური სკოლის წარმომადგენლები დაესწრნენ.

თსუ-ის რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „უნივერსიტეტში არსებობს ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ცნობილ უცხოელ მეცნიერებს ვანიჭებთ საპატიო დოქტორის წოდებას. დღეს ჩვენ ეს საპატიო წოდება ქართული უროლოგიის ხელმძღვანელისთვის, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის უროლოგიის მიმართულების მხარდაჭერისთვის მივანიჭებთ მსოფლიოში ცნობილ უროლოგს, გერმანელ მეცნიერს, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორს პიტერ ალკენს“.

„დიდი ხანია ვთანამშრომლობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის

ფაკულტეტთან. ჩემთვის დიდი პატივია უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

არაერთი საერთო ღონისძიებები ჩავგიტარებია და კვლავ ვაპირებ მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელებას“, — აღნიშნა პროფესორმა პიტერ ალკენმა.

პიტერ ალკენი უროლოგ-კლასიკოსთა სკოლის წარმომადგენელია; მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში კითხულობს ლექციებს. იგი არის საოპერაციო ხელსაწყო — ალკენის შემქმნელი. მკურნალობის ბევრი თანამედროვე მეთოდი საქართველოში პიტერ ალკენის მხარდაჭერით დაინერგა.

პიტერ ალკენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილებით, ქართული უროლოგიური სკოლის განვითარებისა და ევროპულ სკოლასთან ინტეგრაციის ხელშეწყობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მიენიჭა.



სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია სისხლის სამართალში

უმალეს სასწავლებელში განათლების მისაღებად ორი მთავარი კომპონენტი საჭიროა – სწავლა და კვლევა. ორივე მიმართულებით არსებულ ხარვეზებსა და პრობლემებზე ხშირად საუბრობენ. განსაკუთრებული აქცენტი სტუდენტური სამეცნიერო კვლევების გააქტიურების მიმართულებით კეთდება. თუმცა პროფესორ-მასწავლებლების, ფაკულტეტის ან სხვადასხვა შიდა საუნივერსიტეტო სტრუქტურის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო ღონისძიებებში სტუდენტთა ნაწილი სიამოვნებით მონაწილეობს. მაგალითად, იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების პროფესორის ნონა თოდუას მიერ გამართული სამეცნიერო სტუდენტური კონფერენციები უკვე ყოველ სემესტრში ტარდება და სტუდენტებს თავიანთი აქტივობების წარმონაჩვენის შესაძლებლობები ეძლევათ.

ნლამდეა გათვალისწინებული. ამდენად, ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ჩვენ თემა გვქონდა ქართველ მეცნიერებაში არსებული მოსაზრებების, შემდეგ კი გერმანულ სამართალში არსებული ვითარების გათვალისწინებით განხილული. გერმანულ სამართალში არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობა აღიარებულია, მაგრამ იქ მცდელობისა და არაპირდაპირი



რაც შეეხება, ზოგადად, სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციას, გავიღრმავთ თეორიული ცოდნა, საკვლევი თემა კარგად შევისწავლეთ, მოვისმინეთ სხვა სტუდენტების ნაშრომებიც. გადაწყვიტე, მომავალში სისხლის სამართლის მიმართულებით გავაგრძელო მუშაობა. ბევრი ჩვენი პროფესორი ასე მუშაობს და ვფიქრობ, ეს შესაძლებელია, — განაცხადა იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა გიორგი დოლაკიძემ.

ნათო მობლაკა

მიმდინარე წლის საგაზაფხულო სემესტრში სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია სისხლის სამართალში 15 მაისს გაიმართა და მასში იურიდიული ფაკულტეტის 20-მდე სტუდენტი მონაწილეობდა. მზადება სემესტრის დასაწყისში დაიწყო.

„კონფერენციაში რამდენიმე სემესტრის სტუდენტები მონაწილეობდნენ, რომლებიც სისხლის სამართალში სხვადასხვა საგანს გადიან. მათ გარკვეული წესით ვარჩევთ. სემესტრის დასაწყისში ცხადდება რეგისტრაცია, მოდიან მსურველები. მათგან ზოგიერთს საკვლევი თემა უკვე შერჩეული აქვს, ზოგიერთს მე ვურჩევ, ვუთითებ ლიტერატურასა და ვაძლევ მიმართულებას. სტუდენტები თემაზე მუშაობის პარალელურად ჩემთან გადიან კონსულტაციებს. ასეთ კონფერენციებში მონაწილეობით ისინი ეჩვენებიან ნიგზზე მუშაობას, კვლევას, ლოგიკურ აზროვნებას, სწავლობენ აკადემიური წერის კულტურას, იაზრებენ - რა არის პლაგიატი. ასევე, სტუდენტი იმუშავებს პრეზენტაციის დროს აუდიტორიასთან ურთიერთობის უნარებს. ჩვენც, პროფესორებს, საშუალება გვაქვს, წინასწარ ვნახოთ, თუ რომელ სტუდენტს აქვს მეცნიერული კვლევის უნარები და მეცნიერებაში ვინ შეიძლება სამომავლოდ მუშაობა გააგრძელოს. შესაძლოა, სტუდენტმა თეორიას პრაქტიკა არჩიოს, მაგრამ ნიგზზე მუშაობის უნარის გარეშე პრაქტიკაშიც წარუმატებელი იქნება. სწორედ ამიტომ, მსგავსი სამეცნიერო ღონისძიებები ძალიან მნიშვნელოვანია, — აღნიშნა იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა ნონა თოდუამ.

სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაზე სტუდენტებს საკმაოდ საინტერესო და სადავო თემები ჰქონდათ განხილული. წარმოდგენილი იყო საკითხები, რომელთა შესახებ როგორც ქართულ, ასევე, საერთაშორისო იურიდიულ საზოგადოებაში ერთიანი, ჩამოყალიბებული ხედვა არ არსებობს. მაგალითად, ნიკა პირველაშვილმა და გიორგი დოლაკიძემ „მცდელობის საკითხი არაპირდაპირ ჩადენილ დანაშაულში“ განიხილეს. ქეთევან პაჭკორიამ და ანა ცვიფურიშვილმა ნაშრომი თემაზე — „ამსრულებლისა და თანამონაწილის გამიჯვნა“ წარმოადგინეს ქურდობისა და ყაჩაღობის მაგალითზე; გიორგი მთიელიშვილმა ანალოგიური საკითხი სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის პრობლემატიკასთან დაკავშირებით წარმოაჩინა; მანანა ბაზაქიძე თემა „ნარკოტიკული დანაშაულის საგნის განსაზღვრა“ დაამუშავა, რომელსაც გაანალიზებული ჰქონდა სასამართლო პრაქტიკა და ასევე თეორიული ნაწილიც; აქვსენტი ჭიჭინაძემ ნაშრომი „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია“ წარმოადგინა და ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა ჰქონდა შესწავლილი. მისი კვლევის



მიხედვით, სასამართლო შეცდომას უშვებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და მითვისების გამიჯვნის დროს.

„ჩვენი თემა გახლდათ - საქართველოში კანონმდებლობის მიხედვით, არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობა რამდენად არის შესაძლებელი? ეს საკითხი ავირჩიეთ, რადგან ერთიანი მოსაზრება არ არსებობს და ჩვენი პროფესორებიც დავობენ ამასთან დაკავშირებით. პრობლემას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს — ცალკეულ შემთხვევებში ქმედება შესაძლებელია სხვადასხვანაირად დაკვალიფიცირდეს, სასჯელი კი განსხვავებულია. ერთ შემთხვევაში, შეიძლება, 7-დან 15 წლამდე მიესაჯოს, როცა მეორე შემთხვევაში - სამ

განზრახვის დეფინიცია განსხვავებულია და, შესაბამისად, სასამართლომ, შესაძლოა, დანაშაული ევენტუალური განზრახვით მცდელობად დააკვალიფიციროს. ჩვენთან კი ეს შეუძლებელია, რადგან მცდელობისა და არაპირდაპირი განზრახვის დეფინიცია სხვანაირად არის მოცემული და ამის შესაძლებლობა არ გვაქვს. ასევე, განხილული გვქონდა მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან. შევაფასეთ, რომ საქართველოში უზუნაქი სასამართლო, ხშირ შემთხვევაში, დანაშაულს აკვალიფიცირებს ევენტუალური განზრახვით ჩადენის მცდელობად, თუმცა გადაწყვეტილებები არ არის დასაბუთებული და ამიტომ ეს ჩვენს ნაშრომში გავაკრიტიკეთ.

„სწავლის დასრულების შემდეგ პრაქტიკაში ვაპირებ მუშაობის გაგრძელებას. ასეთ კონფერენციებში მონაწილეობა მეხმარება, რომ სხვადასხვა მოსაზრებებს გავეცნო და ცოდნა გავიღრმავო, რაც პროფესიულ საქმიანობაში აუცილებლად დამეხმარება. კონფერენციაში მონაწილეობისას ხვდები — თუ რამდენად საინტერესოა ეს დარგი და რამდენი საკამათო თემა შეიძლება წარმოიშვას, — გვითხრა ნიკა პირველაშვილმა.

„მე და ანა ცვიფურიშვილმა თემაზე ერთად ვიმუშავეთ. ნაშრომი დანაშაულში თანამონაწილეობისა და თანააღმსრულებლობის გამიჯვნაზე. საკითხი ქურდობისა და ყაჩაღობის მაგალითზე განვიხილეთ. მოყვანილი გვქონდა თეორიები, რომლებიც ამ შემთხვევებს სხვადასხვანაირად აკვალიფიცირებენ. განვიხილეთ კაზუსები, მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან. ეს თემა ავირჩიეთ, რადგან ჯერ კიდევ დავის საგანია. ბევრი თეორია არსებობს და თითოეულს აქვს როგორც თავისი პლუსი, ასევე - მინუსიც. კვლევის შემდეგ მივედით დასკვნამდე და ჩვენ ფორმალურ ობიექტურ თეორიას დავუჭირეთ მხარი.

ზოგადად, კონფერენციაში მონაწილეობა პირველად მივიღე და ცოდნის მხრივ ძალიან გავიზარდე. სანამ სტუდენტი ვარ, კვლევებში აქტიურად ვიქნები ჩართული, — განაცხადა იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა ქეთევან პაჭკორიამ.

სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია სისხლის სამართალში დისკუსიით დასრულდა. როგორც ნონა თოდუამ განაცხადა, „მსგავსი სამეცნიერო ღონისძიებების მთავარი მიზანი სტუდენტების გააქტიურება და კვლევის უნარ-ჩვევების გამომუშავებაა, რაც პროფესიონალი იურისტების ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა გახლავთ“.

თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს შორის



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორმა თეიმურაზ ბარკალაიამ მოაწერეს.

თსუ-ის რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „მემორანდუმი ახალ შესაძლებლობებს ქმნის ჩვენი სტუდენტებისთვის, მათი პრაქტიკისთვის, ცოდნის განვითარებისთვის. კვალიფიციურ ექიმად ვერ ჩამოყალიბდება სტუდენტი თუ მას უშუალო კონტაქტი არ ექნა აუადამყოფთან. ექსტრემალური პირობების შესწავლა-შეთვისება

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. იმედია, ჩვენი თანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება“.

„სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრსა და უნივერსიტეტს შორის მემორანდუმის გაფორმება მნიშვნელოვანია, რადგან მედიცინის მუშაკთა ახალი თაობა ჩვენთან ისწავლის პაციენტის მოვლას, პირველ შეხვედრას, გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას, — აღნიშნა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორმა თეიმურაზ ბარკალაიამ.

მემორანდუმის მიზანია ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვით მედიცინის სფეროში კვალიფიციური კადრების მომზადება, პროფესიული ცოდნისა და აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისება და დახვეწა. ცენტრის საჭიროებებისა და მიზ-



ნებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგამოცდო, საატესტაციო და სხვა ღონისძიებების ორგანიზებას. ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში სტუდენტებს ეძლევათ საშუალება გაიარონ

პრაქტიკული კურსი სასწრაფო დახმარების ცენტრში, ტრენინგ ცენტრის მეშვეობით მიიღონ დამატებითი ინფორმაციები, რაც ხელს შეუწყობს მიღებული ცოდნის გაღრმავებაში.



სტუდ-მსიჰი



გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუდენტური ჩანართი

№15

რამდენად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის თსუ-ის ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა



ბ ამოჩენილი ქართველი პუბლიცისტის კიტა აბაშიძის ანდერძის თანახმად, მისი ბიბლიოთეკა უნივერსიტეტს გადმოეცა. სწორედ ეს ფაქტი დაედო საფუძვლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნთსაცავის დაარსებას. დროთა განმავლობაში წიგნის ფონდი მდიდრდებოდა, მათ შორის, კერძო პირთა თუ დანესებულებათა შემონიშნულობების ხარჯზე და დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში ერთ-ერთი უმდიდრესი ბიბლიოთეკის ფონდებში დაცულია სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურა, ქართული და უცხოური იშვიათი წიგნები და პერიოდული გამოცემები.

აქ გარდა სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურისა, სტუდენტებს შეუძლიათ გაეცნონ მხატვრულ ლიტერატურას, საგანმანათლებლო თუ სხვა სახის ქართულ და უცხოურ ჟურნალ-გაზეთებს. ბიბლიოთეკა სტუდენტებს კომპიუტერულ მომსახურებასაც სთავაზობს, რაც თანამედროვე სწავლების (E-Learning) პროცესში მეტად საჭიროა.

საგაზეთო წერილზე მუშაობის დროს ჩვენ ჩავატარეთ მცირე კვლევა, რის მიხედვითაც აღმოჩნდა, რომ გამოკითხული სტუდენტების 90%-ზე მეტი კმაყოფილია ბიბლიოთეკის მომსახურებით, მარტივად ახერხებენ წვდომას ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ვესაუბრეთ ბიბლიოთეკის თანამშრომელს ანა ქურდიანაძეს.

— რამდენად იყენებენ სტუდენტები ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და იმართება თუ არა ბიბლიოთეკაში ლიტერატურული საღამოები, წიგნების პრეზენტაციები და ა.შ?

— ჩვენი ბიბლიოთეკა ძალიან აქტიურია. სტუდენტების სიმცირეს ნამდვილად არ ვუჩივით. ყოველდღიურად ფიქსირდება შემოსული სტუდენტების რაოდენობა. დღის განმავლობაში საშუალოდ 1000-ზე მეტი სტუდენტი ფიქსირდება, ხოლო წინასაგამოცდო პერიოდში ეს რიცხვი კიდევ უფრო მატულობს. ჩვენი ბიბლიოთეკა კარგად იყენებს საკუთარ რესურსს. აქ არსებულ დარბაზებში ხშირად იმართება წიგნების პრეზენტაციები, გვსტუმრობენ მწერლები, მიმდინარეობს ლიტერატურული ნაწარმოებების განხილვა, იმართება კონკურსები, საგანმანათლებლო და შემეცნებითი ლექციები. სიახლეებიც მომავალში სწორედ ამ კუთხით იგეგმება.

— რამდენად არის ბიბლიოთეკის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები სტუდენტებზე ორიენტირებული?

— იმას, რომ ღონისძიებები სტუდენტებზეა მორგებული, სტუდენტთა დასწრებაც ადასტურებს. „ბიბლიოთეკასთან არსებული მეგობართა კლუბიც“ აქტიურია. კლუბის წევრი სტუდენტები აქტიურად მუშაობენ მრავალფეროვანი და საინტერესო იდეების განხორციელებისთვის, აწყობენ ღონისძიებებს და დიდი წარმატებითაც სარგებლობენ. ასე რომ, თსუ-ის ბიბლიოთეკა სტუდენტების კარგი მეგობარია.



სურათის უფრო ცხადად წარმოჩენისთვის თავად სტუდენტებსაც მივმართეთ რამდენიმე კითხვით:

სანდრო ტაბატაძე:

— თავისუფალი დროის მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ ბიბლიოთეკაში ვატარებ, რადგან აქ არის მაქსიმალურად სტუდენტებზე ორიენტირებული გარემო. ვფიქრობ, რომ ბიბლიოთეკა ერთ-ერთი ყველაზე მარტივად მისაწვდომი დაწესებულებაა უნივერსიტეტში, ვინაიდან ნებისმიერ სტუდენტს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეუძლია ისარგებლოს მატერიალური ბაზით, რაშიც ასევე დიდ დახმარებას გვინებს თითოეული თანამშრომელი. ასევე, მინდა, დადებითად შევაფასო „ბიბლიოთეკასთან არსებული მეგობართა კლუბის“ საქმიანობა, ისინი ძალიან საინტერესო ღონისძიებებს ატარებენ და დადებით გავლენას ახდენენ სტუდენტებზე.

მარიამ გულიაშვილი:

— ვფიქრობ, რომ ბიბლიოთეკა უნივერსიტეტისთვის ნამდვილად საამაყოა, აქ ჩანს უნივერსიტეტის როგორც ისტორიული, ასევე თანამედროვე იერსახე. განსაკუთრებით აღსანიშნავია საუკუნოვანი წიგნთა ფონდი. „ბიბლიოთეკის მეგობართა კლუბის“ მიერ ჩატარებული ღონისძიებებიდან მინდა გამოვყო ლევან გიგინეიშვილთან შეხვედრა — ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე შემეცნებითი ღონისძიება. ზოგადად, ვფიქრობ, რომ ეს ღონისძიებები არატრადიციული განათლების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. ბიბლიოთეკის მიერ მეგობართა კლუბის შექმნამ გააჩინა ახალი ალტერნატივა ღონისძიებებისა, რომლებიც მაქსიმალურად სტუდენტებზეა ორიენტირებული. ერთადერთ პრობლემას გამოვყოფდი, რომელიც ტექნიკურ ბაზას უკავშირდება. ხშირია შემთხვევა, როცა სარეგისტრაციოში კომპიუტერთან წვდომისთვის საჭირო საშუალებები გატანილია, მაგრამ რეალურად კომპიუტერების დიდი ნაწილი თავისუფალია, რის გამოც ხშირად შეზღუდულია ტექნიკური საშუალებების გამოყენება.

ნისძიებებისა, რომლებიც მაქსიმალურად სტუდენტებზეა ორიენტირებული. ერთადერთ პრობლემას გამოვყოფდი, რომელიც ტექნიკურ ბაზას უკავშირდება. ხშირია შემთხვევა, როცა სარეგისტრაციოში კომპიუტერთან წვდომისთვის საჭირო საშუალებები გატანილია, მაგრამ რეალურად კომპიუტერების დიდი ნაწილი თავისუფალია, რის გამოც ხშირად შეზღუდულია ტექნიკური საშუალებების გამოყენება.

ზურაბ მენაღარიშვილი:

— ბიბლიოთეკას ძალიან ხშირად ვიყენებ, თითქმის ყოველდღიურად შევდივარ. აქ ვამზადებ მასალას. ძალიან მომწონს მომსახურება, რადგან კომპეტენტური და თავაზიანი მომსახურე პერსონალი ჰყავთ. სამკითხველო გარემო მეტწილად ადაპტირებულია სტუდენტებზე, მაგრამ უკეთესი იქნებოდა მეტი არაფორმალური სამკითხველო სივრცე (პუფები, სავარძლები და ა.შ.) სტუდენტებისთვის. ასევე კომპიუტერებში არასწორად არის განაწილებული საიტების ხილვადობა. მაგ BBC-ის, CNN-ის, ალჯაზირას და ა.შ. ვებ-გვერდებზე წვდომა არ არის, რაც ძალიან სამწუხაროა.

ამრიგად, თავისუფალი დროის დიდ ნაწილს სტუდენტები ბიბლიოთეკაში ატარებენ. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ და გამოკითხული რესპოდენტების ნაწილმა მხოლოდ ტექნიკურ ხარვეზებზე გაამახვილეს ყურადღება, რაც, ვიმედოვნებ, რომ მომავლისთვის გამოსწორდება.

თამარ პაქანიკა,
სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტის
სტუდენტი



„პარლამენტარის“ წარმატების საიდუმლო

3ოკა კაპანაძის „წარმატების საიდუმლო“ სპეციალური რეცეპტი არ აქვს, თუმცა 19 წლის ასაკში მოასწრო — ოცნებები რეალობად ექცია. მის ბიოგრაფიას გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვუწოდოთ „მიდღარი“ და, ასევე, ყოველგვარი ეჭვის გარეშე — საიმედო მომავალი ვუწინასწარმეტყველოთ.

„ახალგაზრდული ევროპარლამენტი — საქართველოს“ პრეზიდენტის აქტიური ცხოვრება სკოლიდან დაიწყო. თბილისის 23-ე საჯარო სკოლაში გატარებულ წლებს იგი დიდი სიამოვნებით იხსენებს. წარმატებული მოსწავლე, რომელიც განსაკუთრებით უცხო ენებს სწავლობდა კარგად, ამავე დროს, აქტიურობითაც გამოირჩეოდა და ისეთ პროექტებში მონაწილეობდა, როგორც არის: გაეროსა და ნატოს სამიტის მოდელირება და სხვა. XI კლასში აშშ-ის საელჩოს მიერ გამოცხადებულ მომავალ ლიდერთა ტრანსატლანტიკურ გაცვლით პროექტში გაიმარჯვა და ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ერთერთ პრესტიჟულ უნივერსიტეტში ერთი თვით სასწავლებლად გაემგზავრა.

„ამერიკაში დიდი გამოცდილება შევიძინე. გარდა იმისა, რომ ძალიან საინტერესო ლექციები მოვისმინე, მსოფლიოს 64 ქვეყნიდან ჩამოსულ სტუდენტებთან ერთად ემონანილეობდი სხვადასხვა დებატებში. მნიშვნელოვანი იყო ვაშინგტონში „ამერიკის ხმის“ ქართულ ოფისში ჩაწერილი ინტერვიუ, რომელიც რადიოთი გადაიცა. ამერიკაში მიღებულმა გამოცდილებამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ჩემი აზროვნებისა და ხედვების ჩამოყალიბება“, — იხსენებს კოკა. სხვათა შორის, ამერიკაში ჩასვლიდან მესამე დღესვე თბილისში, აშშ-ის საელჩოში დარეკა უნივერსიტეტის რექტორმა და მადლობა გადაუხადა ქართულ მხარეს გამორჩეული ახალგაზრდის იქ გაგზავნისთვის. მადლობის ზარი ოჯახშიც გაისმა — კოკას მშობლებს მადლობა იმ ოჯახის წევრებმა გადაუხადეს, სადაც იგი ერთი კვირის მანძილზე ცხოვრობდა.

სკოლის პერიოდში სხვადასხვა საგნებში ჩატარებულ ოლიმპიადებში გამარჯვებულმა მოსწავლემ ლონდონის ბაქსუუდის სკოლაში სწავლის უფლება მოიპოვა, სადაც 8 საუკეთესო მოსწავლეს შორის მოხვდა.

კოკა ახალგაზრდული ევროპარლამენტი — საქართველოს“ წევრი ჯერ კიდევ 16 წლის ასაკში გახდა. როგორც თავად ამბობს, ეს იყო ძალიან საინტერესო ეტაპი მის ცხოვრებაში. იგი უამრავ რეგიონალურ თუ საერთაშორისო სესიებში იღებდა მონაწილეობას თავიდან როგორც დელეგატი, შემდგომ მწვრთნელი, ორგანიზატორი და ვიცე-პრეზიდენტი. 18 წლის

ასაკში კი ორგანიზაციამ პრეზიდენტად აირჩია. სწორედ მისი ხელმძღვანელობით გაიმართა საერთაშორისო სესიები თბილისსა და ბათუმში, რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ორგანიზაციის დამფუძნებლები მონაწილეობდნენ.

კოკა კაპანაძემ საქმიანი ვიზიტით უკვე მრავალი ქვეყანა მოიარა: იგი მინვეული იყო აზერბაიჯანში (ბაქოში, განჯაში), უკრაინაში, გერმანიაში და შვედეთში, სადაც სემინარებში იღებდა მონაწილეობას. „ახალგაზრდული ევროპარლამენტი — საქართველოს“ პრეზიდენტი აგვისტოში მინვეულია ფინეთში, ქალაქ ტამპერეში საერთაშორისო სესიაზე.

ალსანიშნავია, რომ კოკამ, შარშან ზაფხულში, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროსგან მიიღო შეთავაზება — მონაწილეობა მიეღო გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლის შესარჩევ კონკურსში, სადაც სამივე ეტაპი გადალახა და 10 საუკეთესო ფინალისტს შორის მოხვდა. როგორც ყველაზე უმცროსმა მონაწილემ, მან მეორე ადგილი დაიკავა.

როგორც კოკა ამბობს, მისთვის ასევე მნიშვნელოვანი გახლდათ ცოტა ხნის წინ საქართველოში გამართული ახალგაზრდული ფორუმი, რომელიც ორგანიზებული იყო „ახალგაზრდული ევროპარლამენტი — საქართველოს“ და გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ. სწორედ ამ ფონდის მიწვევით გაემგზავრა იგი მოლდოვაში, კიშინიოვში გამართულ ახალგაზრდულ ფორუმზე.

კოკა კაპანაძეს უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობაში ეხმარება ისიც, რომ კარგად ფლობს ფრანგულ, რუსულ და ინგლისურ ენებს. ბოლო დროს იტალიური და იაპონური ენებშიც დაინტერესდა. „უცხოური ენების მიმართ სიყვარული ბავშვობიდან მაქვს. განსაკუთრებული მადლიერებით ჩემი ინგლისური ენის მასწავლებელი მარინა ძლიერიშვილი მინდა გავიხსენო, რომელსაც დიდი ამაგი აქვს. ჩემთვის ყველაზე კარგი მაგალითი კი ჩემი და — ნინო — იყო, რომელიც თსუ-ის საერთაშორისო სამართლის მაგისტრია. იგი აქტიურად იყო ჩართული გაეროს მიერ განხორციელებულ პროექტებში და მისგან ბევრი რამ ვისწავლე. ახლა მას პატარა გოგონა ჰყავს და ვცდილობ, კარგი ბიძა ვიყო“, — ამბობს კოკა.

ამას წინათ კოკას დედამ კიდევ ერთი მადლობის წერილი მიიღო ერთ-ერთი ორგანიზაციისგან, რომელიც ასე იწყებოდა: „ლამაზად შეილის გამზრდელი, დედა მიცენია გმირადა“. კოკაც ყველაზე მეტად დედას — ლელა ჟვანიას — უმადლის იმას, რომ, მიუხედავად ბევრი



სირთულისა, მან დიდი როლი ითამაშა შვილების სწორად აღზრდაში. ქალბატონი ლელა ექიმთა ლირსეული წარმომადგენელია და, პირველი რიგში, თავისი ცხოვრებით უჩვენებს შვილებს მაგალითს.

კოკა ამჟამად თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების მიმართულების II კურსის სტუდენტია. ამბობს, რომ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა ძალიან ეხმარება თავის საქმიანობაში. განსაკუთრებით მოსწონს მიმართულების ხე-


მუშაობას, — ამბობს კოკა.

„ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი — საქართველოს“ პრეზიდენტს უკვე საკმაო გამოცდილება დაუგროვდა, რომ შეაფასოს და ერთმანეთს შეადაროს საქართველოში და ევროპაში მიმდინარე სხვადასხვა მოვლენები. მისი აზრით, საქართველოში, ევროპისგან განსხვავებით, ადამიანებს კარგად არ აქვთ გათვლილი და გათვითცნობიერებული თავიანთი უფლებები და საჭიროა ამ მხრივ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. „ევროპაში მოგზაურობისას დიდი გამოცდილება შევიძინე. ჩვენი საზოგადოება და, მათ შორის, ახალგაზრდობაც პასიურია, თუმცა, ბოლო დროს, კარგი ტენდენციები შეიმჩნევა. ჩვენს ორგანიზაციაშიც არიან მოტივირებული ახალგაზრდები, რაც მისასალმებელია“, — ვთხრობს კოკამ.

მისი გრაფიკი, რა თქმა უნდა, ისევ გადატვირთულია: ივლისში იგი ფინეთში საერთაშორისო სესიაზე მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრება, სადაც ყოველწლიურად მსოფლიოს ყველა ქვეყნის 300-მდე ახალგაზრდა იკრიბება და სხვადასხვა აქტუალურ პრობლემას განიხილავს. მომავალი სემესტრიდან კი კოკა თსუ-ის გაცვლით პროგრამის ფარგლებში 6 თვით სლოვაკეთის უნივერსიტეტში მიემგზავრება სასწავლებლად, საიდანაც, ალბათ, ახალი შთაბეჭდილებებით დაბრუნდება. ჩვენ მხოლოდ წარმატებები შეგვიძლია ვუსურვოთ მას.

მომზადდა
შურთისია პერიოდიკა





ქ რ ო ნ ი კ ა



სვიმონ კლდიაშვილის ბიუსტის გახსნა თსუ-ში



„ამ წელს აღვნიშნავთ სვიმონ კლდიაშვილის დაბადებიდან 150 წლის იუბილეს. ამ თარიღს სხვადასხვა ღონისძიებებს მივუძღვებით. მიხარია, რომ უნივერსიტეტის ეზოში გაიხსნა ამ შენობის არქიტექტორის ბიუსტი. სექტემბერში გაიმართება გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იქნება სვიმონ კლდიაშვილის ნახაზები, პროექტები, შენობების ფოტოები“, — აღნიშნა სვიმონ კლდიაშვილის საიუბილეო ღონისძიებების ჯგუფის წევრმა, თსუ-ის კურსდამთავრებულმა, ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრმა სალომე ჭანტურიძემ.

თსუ-ის რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ბრძანებით, თსუ-ში 2015 წელი გამოცხადდა ცნობილი ქართველი არქიტექტორის, თსუ-ის პირველი კორპუსის ამჟამინდელი სვიმონ კლდიაშვილის წლად.

საიუბილეო წლის განმავლობაში დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიება: სვიმონ კლდიაშვილის არქიტექტურული ნამუშევრების ფოტოგამოფენა და ფოტოალბომის მომზადება; სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით — „XIX-XX საუკუნეების არქიტექტურა და თანამედროვე გამოწვევები“; დოკუმენტური ფილმის ჩვენება სვიმონ კლდიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

სათავადაზნაურო გიმნაზიის მთავარი შენობის მშენებლობა იმ დროისთვის ახალგაზრდა, მაგრამ ცნობილი არქიტექტორმა სვიმონ კლდიაშვილმა 1900 წელს დაიწყო და 1906 წელს დაასრულა. 1918 წელს გიმნაზიის შენობის ნაწილში გაიხსნა პირველი ქართული და კავკასიაში პირველი უნივერსიტეტი. 1920 წლიდან მთელი შენობა უნივერსიტეტს დაეთმო.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში გაიხსნა არქიტექტორ სვიმონ კლდიაშვილის ბიუსტი. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

თსუ-ის რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „უნივერსიტეტში არსებობს ტრადიცია — პატივი მივაცემთ უნივერსიტეტის დამაარსებლებს, ამ შენობის შემქმნელებს. სვიმონ კლდიაშვილი უნივერსიტეტის პირველი კორპუსის არქიტექტორი და მშენებელია, შენობის, რომელიც ჩვენი უნივერსიტეტის და საქართველოში უმაღლესი განათლების სიმბოლოა“.



„პირველსხიველების“ შემოქმედებითი საღამო



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „პირველსხიველების“ შემოქმედებითი საღამო გაიმართა. 2015 წელს აღმანახ „პირველი სხივის“ გამოცემიდან 65 წლის იუბილეს აღსანიშნავად, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მასშტაბურად აღნიშნა.

თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ზურაბ გაიპარაშვილის განცხადებით, „უნივერსიტეტში შეიკრიბა ყველა თაობის „პირველსხიველი“, გავიხსენეთ მათი შემოქმედება. სცენაზე ავტორებმა წაიკითხეს ლექსები, ისმოდა ნამდვილი ქართული სიტყვა, სიმღერები, რომელიც „პირველსხიველთა“ ტექსტებზეა შექმნილი“.

„პირველი სხივი“ იყო ჟურნალი, სადაც ჩანდა, როგორ ფეთქავდა, როგორ აზროვნებდა XX საუკუნის 50-იანი წლების საქართველო, მწერლობა“, — აღნიშნა „პირველსხიველმა“ ტარიელ ხარხელაურმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმანახ „პირველი სხივის“ სახელს უკავშირდება XX საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატორთა თაობის ფაქტობრივად თითქმის ყველა ცნობილი მოღვაწის პირველი შემოქმედებითი ნაბიჯები. უნივერსიტეტის ლიტერატურული წრე პირველად 1947 წლის სექტემბერში შეიკრიბა.

უნივერსიტეტში ლიტერატურულ წრეს ხელმძღვანელობდა დოცენტი ბესო ჟღენტი. წრეს ბევრი ახალი წევრი შეემატა, ბევრი საყურადღებო ლიტერატურული მასალა დაგროვდა; შესაძლებელი გახდა აღმანახის დაარსება, რისი ინიციატივა უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორს, აკადემიკოს ნიკო კეცხოველს ეკუთვნის. ასე დაიბადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა ყოველწლიური ლიტერატურული აღმანახი „პირველი სხივი“, რომლის პირველი ნომერი 1950 წელს გამოვიდა. ყოველ მომდევნო წელს აღმანახ „პირველი სხივის“ ახალი ნომერი გამოდიოდა. 2004 წლამდე სულ 30 ნომერი დაისტამბა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღებენ სხვადასხვა თაობის „პირველსხიველები“. მათ შორის ჯანსუღ ჩარკვიანი, ტარიელ ჭანტურია, გივი ალხაიშვილი, გივი შაჰნაზარი, თემურ ჩალაბაშვილი, რევაზ ამაშუკელი, ბესიკ ხარანაული, რევაზ მიშველაძე, ტარიელ ხარხელაური, ელა გორჩაშვილი, ლია სტურუა, ვახტანგ ჯავახიძე, გიორგი კეკელიძე, გაგა ნახუცრიშვილი და თამარ ალადაშვილი. ასევე, ცნობილი მომღერლები და მუსიკალური ანსამბლები.



აკოლონ სილაგაძე: „ნიჰილიზმი განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მიმართ შეიქმნა ჰქონდა მხოლოდ უპიცს ან ქვეყნის მტერს“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარსების დღიდან ეროვნული და სახელმწიფოებრივი ტვირთის ზიდვა ქართული მეცნიერების ბედისწერად იქცა. უნივერსიტეტის დამფუძნებელი მამების ეს ტვირთი მათმა აღზრდილებმა და გზის გამგებლებმა ღირსეულად გადაიბარეს და სინამდვილე აქციეს საქართველოს დამოუკიდებლობისა და თანამედროვე სახელმწიფო ჩამოყალიბების იდეა.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, ახლახან აკადემიკოსად არჩეული აკოლონ სილაგაძე საქართველოს პირველი მონაწილის პარლამენტის წევრია და ამჟამად იმით, რომ 1991 წელს მიღებულ დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე მისი ხელმოწერა; ასევე, ბაქონი აპოლონი ქართული სახელმწიფოს პირველი ოფიციალური პირი იყო არაბულ სამყაროში: 1998-2004 წლებში იგი საქართველოს საელჩოს ედგა სათავეში ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში და საქართველოს წარმომადგენელად სირიას, ლიბანსა და იორდანიაში. დიპლომატიური საქმიანობის დასრულების შემდეგ აპოლონ სილაგაძე კვლავ დიდი მასწავლებლის, აკადემიკოს გიორგი წერეთელის დასრულებულ საქმეს დაუბრუნდა და ამჟამად თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტს უდგას სათავეში.

ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის პერსპექტივა, განათლებისა და მეცნიერების პრობლემები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, მეცნიერებათა აკადემიისა და უნივერსიტეტის ბედი ადგილი საზოგადოებაში – დღემდე ასეთია აპოლონ სილაგაძის ცხოვრებისა და საქმიანობის მთავარი თემები და საზრუნავი.



ორიენტალისტიკა ვითარდება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის დასაწყისიდან. 1918 წელს, უნივერსიტეტის დაარსებისთანავე, პირველ სემესტრში (თებერვალი-ივნისი) ინგლისურ, ფრანგულ და სხვა ევროპულ ენებთან ერთად იკითხებოდა არაბული და სპარსული ენების კურსები. არაბულს კითხულობდა აკაკი შანიძე, სპარსულს – ჟუსტინე აბულაძე. იმავე წელს ასირიოლოგიის კათედრა დააარსა მიხაკო წერეთელმა, თუმცა, უცხოეთში მისი ნასვლის შემდეგ კათედრამ არსებობა შეწყვიტა. აღდგენა მხოლოდ 1992 წელს მოხერხდა.

ინსტიტუტურად აღმოსავლეთმცოდნეობა გაფორმდა 1945 წელს, როდესაც გიორგი წერეთელის ინიციატივით უნივერსიტეტში დაარსდა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, რომელმაც შემდგომში ასეთი სახე მიიღო: სემიტოლოგიის, ირანისტიკის, თურქოლოგიის, არმენოლოგიისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის კათედრები. შეიქმნა ითქვას, რომ ეს იყო ოქროს ხანა: სემიტოლოგიას ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი გიორგი წერეთელი, თურქოლოგიას – აკადემიკოსი სერგი ჯიქია, არმენოლოგიას – პროფესორი ლეონ მელიქსეთ-ბეგი, ირანისტიკას – აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დავით კობიძე და აღმოსავლეთის ისტორიას – აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვალერიან გაბაშვილი. ამ ფაკულტეტის ბაზაზე, 1960 წელს, შეიქმნა მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, რომელიც ცოტა ხნის წინ შეერწყა ილიას უნივერსიტეტს.

დღეისთვის ერთადერთი სოლიდური სამეცნიერო ცენტრი აღმოსავლეთმცოდნეობისა გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩვენი აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელიც მემკვიდრეა გიორგი წერეთელის მიერ დაარსებული ფაკულტეტისა.

ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სამეცნიერო სკოლას საერთაშორისო აღიარება ჰქონდა. გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელი პრეზიდენტი მსტისლავ კელდში ოფიციალურად აღნიშნავდა, რომ საქართველოში არის მსოფლიო მნიშვნელობის 3 სამეცნიერო სკოლა: მათემატიკისა აკად. ნიკო მუსხელიშვილის, ფიზიოლოგიისა აკად. ივანე ბერიტაშვილის და აღმოსავლეთმცოდნეობისა აკად. გიორგი წერეთელის მეთაურობით.

— დღეს რა მდგომარეობაა ქართულ აღმოსავლეთმცოდნეობაში და როგორ აისახა მასზე ის პრობლემები, რომელიც ქართულ მეცნიერებას დაუდგა ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ?

— მიუხედავად მრავალი, მათ შორის შეგნებული დარტყმისა, რომელიც მიიღო მეცნიერებათა აკადემიამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, მიუხედავად სიცივისა, სიბნელისა და სიდუხჭირისა, ჩვენ, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტმა, ამ დარტყმებს გაუძეველი და პრაქტიკულად ყველა მიმართულება შევინარჩუნეთ და განვავითარეთ: 1992 წელს აღვადგინეთ ასირიოლოგიის კათედრა, ავამუშავეთ მეორადი (მაინორ) პროგრამა სინოლოგიისა და იაპონისტიკაში; განვაახლეთ ჩვენი ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალის „აღმოსავლეთმცოდნეობის“ გამოცემა.

ახალმა დრომ დაგამოწვევებმა ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის წინაშე დააყენა განსხვავებული მოთხოვნები: ჩვენ, ერთი მხრივ, შევინარჩუნეთ „კლასიკური“, ისტო-

რიოგრაფიული, ფილოლოგიური, ლინგვისტური და ა.შ. ტრადიციები, მეორე მხრივ, დღეს ჩვენი აღმოსავლეთმცოდნეობა უფრო ფართო პროფილის — რეგიონთმცოდნეობითი ხასიათისაა: აქცენტები ცოცხალ ენებსა და დიალექტებზე, თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებზე გლობალურ მოვლენებთან კავშირში, უახლეს ისტორიაზე, გეოპოლიტიკასა და სოციალურ-კულტურულ ურთიერთობებზე კეთდება. შეიძლება ითქვას, რომ დღეს აღმოსავლეთმცოდნეობა არის არა მხოლოდ სამეცნიერო, არამედ პრაქტიკული დისციპლინა, მასზე მოთხოვნილებაა დიპლომატიის, ბიზნესის და ა.შ. სფეროებში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან გაზრდილია ინტერესი ახალგაზრდების მხრიდან: როდესაც ვაბარებდი და ვსწავლობდი, სემიტოლოგიაში კურსზე 5 სტუდენტი ითვლებოდა ნორმალურად, დღეს კი მხოლოდ არაბისტიკის პირველ სემესტრში 75 სტუდენტი გვყავს. დიდა ინტერესი თურქოლოგიის მიმართაც, თუმცა, ძალიან იკლო არმენოლოგიით დაინტერესებამ.

პირველი ელჩი არაბულ სამყაროში

— პოლიტიკაში მისვლამდე საკმაოდ ინტენსიურად ვსაქმიანობდი საზოგადოებრივ სფეროში: საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ვიყავი გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი, რომელიც შემდგომში გახდა უზენაესი საბჭოს გაზეთი „ერო“. „სახალხო განათლება“ ორ ენაზე — ქართულად და რუსულად გამოდიოდა, ამიტომ ძალიან საჭირო გაზეთი იყო, რომელიც მთლიანად იყო ჩაბმული 80-იანი წლების საზოგადოებრივ მოძრაობაში. შემდგომში ვიყავი დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მონაწილის პარლამენტის წევრი და ხელი მოვაწერე 1991 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. 90-იან წლებში გაზეთ „სოციალური დანია გრუზიას“ (ყოფილი „ზარია ვოსტოკა“) რედაქტორად ვმუშაობდი. ასე რომ, დიპლომატიაში მისვლისას პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული გამოცდილება მქონდა, თუმცა კაიროში ელჩად დანიშნვის შესახებ შემოთავაზება ჩემთვის მოულოდნელი იყო და დიდხანს არ მინდოდა წასვლა, მაგრამ მაშინდელი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძის გადაწყვეტილება იყო ასეთი და როდესაც 1998 წელს გაიხსნა საელჩო ეგვიპტეში, დავინიშნე არაბულ სამყაროში საქართველოს პირველ ელჩად. ამ საელჩოს ფარგლებში შემოდიოდა ლიბანი, სირია და იორდანია. დღეს ჩვენ უკვე გვაქვს სტაჟიანი, კარიერული დიპლომატი, მაშინ კი ცოტა იყო ისეთი, ვისაც სპეციალური განათლება და გამოცდილება ჰქონდა ამ მიმართულებაში. მრავალი სირთულის მიუხედავად, მივადინეთ, რომ არაბულ სამყაროში საქართველოს მეგობრულ ქვეყანას ეძახდნენ.

მიმანჩია, რომ ეს იყო ჩემი მოკრძალებული წვლილი ქვეყნის ცხოვრებაში, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოს ინტელექტუალური ელიტა ძალიან აქტიურად იყო ჩაბმული. არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს ქვეყნის განვითარება და მიღწევები კმაყოფილება ვიყავით, მაგრამ საქართველოს რომ მშვიდად განვითარების პირობები არ ექნებოდა, თავიდანვე ნათელი იყო: ამ რეგიონში ყველანაირი ინტერესი გადახლართული და ვაკუუმებისთვის ბრძოლა დღემდე გრძელდება; ამას დაემატა სირთულეები, რომელიც საბჭოთა კავშირის ნაწილიდან დამოუკიდებელ ქვეყნად გარდაქმნას მოჰყვა.

მეცნიერება, განათლება და საზოგადოება

— ჩვენი განათლება, კულტურა, მეცნიერება გაცილებით მეტ მზრუნველობას და დაინტერესებას და ნაკლებ ქაოსს მოითხოვს. არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველთვის ვიყავით ცივილიზაციის მწარმოებელი ერების რიცხვში, რომელსაც შეიძლება პატარა, მაგრამ საკუთარი ნიშა ჰქონდა გლობალურ ცივილიზაციაში. სამწუხაროდ, დღეს ჩვენ მხოლოდ ცივილიზაციის მომხმარებელი ერი ვართ, თან, ძალიან ცუდი მომხმარებელი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეიძლება

საერთოდ დავიკარგოთ, მით უმეტეს, რომ მცირერიცხოვანნი ვართ.

არ უნდა იყოს მისაღები ჩვენი ტრადიციული ღირებულებების ასეთი მკვეთრი დევალვაცია: ის, რაც სამარცხვინო იყო ცოტა ხნის წინ, დღეს საამაყო და პირიქით. შეიძლება, ეს ბევრ დამოუკიდებლობა აღდგენილ სახელმწიფოს ემართება, მაგრამ არ შეიძლება პროცესების თვითდინებაზე მივხედო. შეუძლებელია, ნებისმიერი დოქტრინა, იდეა პირდაპირ გადმოვიღოთ საიდანაც. არც რეფორმას აქვს აზრი, თუ ის ჩვენს საკუთარ ნიადაგზე არ იდგება. შეიძლება ცუდი მაგალითია, მაგრამ, ვერაფერია გენიკლავი უკემას ვერ დაწერდა ვაჟა-ფშაველა, საკუთარ ქართულ, უფრო მეტიც, თავისი მთის ნიადაგზე რომ არ მდგარიყო.

მეორე, რაც ძალიან მანუხებს — საზოგადოება, რომელიც ჯერჯერობით ბოლომდე მზად არ არის დამოუკიდებელი სახელმწიფოს პატრონობისთვის და არც როგორც ელექტორატი წარმოადგენს რეალურ ძალას. ჩვენი ამომრჩეველი ერთადერთ სოციალურ შეკვეთას აძლევს ასარჩევს: ახლა ვინც არის ხელისუფლებაში — მომამორე! ამ შეკვეთას პოლიტიკური პარტია თუ ბლოკი ფრიადებ ასრულებს, ეს არის ერთი დღის შეკვეთა და ამოცანა... და შემდგომი 4 წლის განმავლობაში ხელისუფლებას შეკვეთა აღარ აქვს, არც ამომრჩეველმა იცის — რა უნდა მოსთხოვოს მმართველ პოლიტიკურ ძალას.

როგორ ხდება თქვენ ამ პრობლემების გადაჭრა?

— რა თქმა უნდა განათლებით! რაში გამოიხატება დასავლური ფასეულობები ჩვენი საზოგადოებისთვის? — მხოლოდ გარეგან, ბავშვურ მიზანძვრაში. ბავშვობაში შავ ზღვაზე ვისვენებდი, რადგან ბებია-ბაბუა სოხუმში ცხოვრობდნენ. სად იყო მაშინ ამდენი უცხოელი, მაგრამ იქ მაინც ჩამოდიოდნენ ხოლმე და ჩვენ მხოლოდ იმას ვხედავდით, რომ სანახევროდ გახდილი ადამიანი პლაჟზე თამაშობდა ბანქოს, ეწოდა სიგარას და რაღაცას სვამდა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ისვენებდა ის ადამიანი, თუმცა ჩვენ, ბავშვებს, გვეგონა, რომ ეს იყო დასავლეთი და იმას ვერ ვაცნობიერებდით, რომ ის უცხოელი ისვენებდა ამ ორ კვირას, თორემ მერე დაჯდებოდა, გაიკეთებდა ჰალსტუხს და იმუშავებდა მთელი წელიწადი. აი, დაახლოებით ასეთი ზურეული და გარეგანია დღეს ჩვენი წარმოდგენა დასავლეთზე.

დიდი კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ დღეს აშკარა აღმავლობა შეინიშნება მეცნიერებათა აკადემიისა და უნივერსიტეტში. მიმანჩია, რომ ეს ორი ორგანიზმი, ორი სტრუქტურა ძალიან მნიშვნელოვან ქვეყნისთვის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არც არასოდეს ყოფილა ჩვეულებრივი უნივერსიტეტი, მას გაცილებით მეტი დატვირთვა ჰქონდა, მათ შორის სიმბოლური. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ძლიერი მეცნიერებათა აკადემია გვქონდა, არც ის ყოფილა მხოლოდ სამეცნიერო სტრუქტურა. წარმოდგინეთ, ჩვენი პირველი აკადემიკოსები თუნდაც მხოლოდ ჩვენს დარგში: კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა და ა.შ. ისინი მართო მეცნიერებას არ „აკეთებდნენ“, ისინი თანამედროვე ტიპის სახელმწიფოსთვისაც ქმნიდნენ ნიადაგს. შეიძლება ამიტომაც იყო, რომ ნურბოგოვანი დარტყმები სწორედ უნივერსიტეტის კათედრებში, აკადემიის ინსტიტუტებში, სამეცნიერო მიმართულებებში მიიღეს...

დარწმუნებულნი ვარ, რომ თუ ჩვენი უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის წინსვლის პროცესი დინამიკურად განვითარდა, ეს იქნება ხელშესახები ფაქტორი ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების პროგრესისა. ქართულ საზოგადოებას ყოველთვის დიდი ავტორიტეტი ჰქონდა უცხოელთა თვალში. დღეს კი ყოველი მხრიდან გვესმის, რომ ქართველი არის თაღლითისა და ქურდის სინონიმი.

ისევ გავიმეორებ: განათლება, მეცნიერება და კულტურა ჩვენში პრიორიტეტული საზრუნავი უნდა იყოს. ნიჰილიზმი მეცნიერებისა და კულტურის მიმართ — ეს არის კიდევ ერთი ავადმყოფობა, რაც გვჭირს. ასეთი ნიჰილიზმი შეიძლება ჰქონდეს უპიცს ან ქვეყნის მტერს.

გვიწავიერებს აკოლონ სილაგაძე

სემიტოლოგი და არმენოლოგი

— ჩვენში აღმოსავლეთმცოდნე პირველ რიგში არის ქართველოლოგი — ამ ტრადიციას ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის ფუძემდებელმა აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა დაუღო სათავე, ასეთი იყო წერეთელი თავის სამეცნიერო მოღვაწეობაში და ასეთები იყვნენ მისი პირველი და მომდევნო თაობის მოწაფეები.

ქართველი აღმოსავლეთმცოდნეობისთვის შეიძლება ოთხი მთავარი მიმართულების განსაზღვრა: საკუთრივ აღმოსავლეთმცოდნეობა, ქართველოლოგია, ქართულ-აღმოსავლური ურთიერთობები და თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემების კვლევა მოცემულ დარგში. ჩემი შრომების დაახლოებით ნახევარი, თუ მეტი არა, ქართველოლოგიის საკითხებს შეეხება. სხვათა შორის, მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრადაც სწორედ ქართველოლოგიური სპეციალობით (ლიტერატურათმცოდნეობა — ზოგადი და ქართული ლექსი) ამირჩიეს.

საქართველოში ორიენტალისტური ინტერესები ტრადიციულია და, გარკვეულწილად, განპირობებულია იმით, რომ ჩვენი წინაპრები — პროტოქართველები პროტოსემიტებთან და პროტონდოევროპელებთან ერთად იყვნენ წინააზიური წარდგენის შემდგომი ცივილიზაციის შემქმნელი ერთ-ერთი ელემენტები. მთლიანობაში, ეს არის უძველესი წინააზიური კულტურა, რომელიც დღევანდელი ცივილიზაციის საფუძველია.

საყოველთაოდ ცნობილია სირიულ-ქართული, არაბულ-ქართული ქრისტიანული ლიტერატურული ურთიერთობები, ქართველების მოღვაწეობა პალესტინაში, სირიასა და ეგვიპტეში, სადაც ისინი საკუთარ მონასტრებს აარსებდნენ. მე-7 საუკუნის მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ, რაც არაბები გამოჩნდნენ, ქართული სამყარო ისლამურ სამყაროსთან მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდა. მოგვიანებით ამას მოჰყვა ურთიერთობები სპარსეთთან, თურქებთან და ა.შ. ჩვენ ამ გავლენის კვალი ვაქვს ლექსიკაში, ლიტერატურაში, ეპიგრაფიკაში, ნუმიზმატიკაში და, საერთოდ, კულტურაში. ამიტომ არის აქტუალური ჩვენი აღმოსავლეთმცოდნეობა.



„საერთაშორისო ურთიერთობები — დისციპლინა და თეორია“



ნიგნის უნივერსიტეტის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა დავით პატარაიას ნიგნის „საერთაშორისო ურთიერთობები — დისციპლინა და თეორია“ პრეზენტაცია. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობათა და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები, თსუ-ის სტუდენტები, პროფესორები, მონვეული სტუმრები დაესწრნენ.

თსუ-ის რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „საქართველოში საერთაშორისო ურთიერთობათა მეცნიერების მიმართულია აქტუალური დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გახდა. ბოლო წლების ისტორია ცხადყოფს, რომ საზოგადოების ინტერესი ამ მიმართულებით ძალიან გაზრდილია, გაზრდილია სტუდენტთა ინტერესიც. დავით პატარაიას ნაშრომი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან მასში საკმაოდ საინტერესო თემებსა და პრობლემათა გადაჭრის გზებზეა საუბარი“.

„ნიგნში დასმულია საკმაოდ საინტერესო ფილოსოფიური პრობლემა — პირველ რიგში ცოდნის, დისციპლინის, სისტემის არსებობა

და, მეორე რიგში, ამ ცოდნის რეალობაში განხორციელების სირთულეები. ეს საკითხები ყველაზე აქტუალური გახდა თანამედროვე სამყაროში, რეალობამ ახალი ფორმები, სახე შეიძინა. ეს თემა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსნაირი ქვეყნებისთვის, როცა საერთაშორისო სამართლის ურთიერთობების ნორმები ხშირად სხვადასხვაა. ნიგნი იმითაც არის საინტერესო, რომ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, როგორი შეიძლება იყოს ამა თუ იმ ხელშეკრულებაზე მხარეთა განმარტებები, ის გვაძლევს სააზროვნო ჩარჩოებს, რომლითაც ფუნქციონირებს თანამედროვე დიპლომატია“, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა.

„საერთაშორისო ურთიერთობები ძალიან საინტერესო და, ამავდროულად, რთული და კომპლექსური ფენომენია. საერთაშორისო ურთიერთობებს მეცნიერება სხვადასხვა რაკურსიდან იკვლევს — ფილოსოფიური, პოლიტოლოგიური, ფსიქოლოგიური, სამართლებრივი, ეკონომიკური და ა.შ. მაგრამ დისციპლინა საერთაშორისო ურთიერთობებს მთლიანობაში სწავლობს და ცდილობს წარმოსახოს მისი ერთი მთლიანი სურათი. სწორედ საერთაშორისო ურთიერთობების

დისციპლინას და თეორიას ეხება ეს ნიგნი. ასევე, ჩაფიქრებულია, რომ ის იყო ერთგვარი მეცნიერული გზამკვლევი. ამდენად, არ არის აუცილებელი — იყო ამ სფეროს სპეციალისტი. ნებისმიერ მკითხველს, რომელიც დაინტერესებულია საერთაშორისო ურთიერთობებით, თანდათანობით შეუძლია შეისწავლოს ეს სფერო და და მოხვდეს საერთაშორისო ურთიერთობების ძალიან საინტერესო სამყაროში“, — აღნიშნა ნიგნის ავტორმა, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დავით პატარაიამ.

ღონისძიების მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს თსუ-ის პროფესორის ალექსანდრე რონდელის ხსოვნას.

ნიგნი ეძღვნება საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინასა და თეორიას. მასში განხილულია საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის წინაშე მდგომი თითქმის ყველა პრობლემა, სრულფასოვნადაა გაანალიზებული მრავალი დიდი მოაზროვნის შეხედულებები და ქმნილებები. ნიგნი გათვლილია საერთაშორისო ურთიერთობების, ასევე საერთაშორისო სამართლის სტუდენტებისა და სპეციალისტებისთვის.



ტრადიციული კონფერენცია პარკიის სამონასტრო კომპლექსში

მეშვიდე წელია საქართველოს ისტორიულ მესხეთში ქართული კულტურის უნივერსიტეტი და მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები იკრიბებიან და ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ.

შურთსია გაროშვილი

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის მიმართულების მიერ ორგანიზებული სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია წელსაც, ტრადიციულად, ცნობილი ინგლისელი არქეოლოგის პიტ რივერსის ხსოვნას მიეძღვნა, რომელშიც მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

„ვარძიის კონფერენცია, თამამად შეიძლება ითქვას, რომ უნიკალურია თავისი მნიშვნელობით, მასშტაბითა და შინაარსით. კონფერენციის გამართვის იდეა დაარსების დღიდან იმ მიზანს ემსახურება, რომ ქართველი სტუდენტებისთვის ფართოდ გაილოს კარი მსოფლიო ასპარეზზე. მათ საშუალება ეძლევათ თავიანთი ცოდნა გამოავლინონ და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს უპასუხონ. წელს კონფერენციაში მსოფლიოს 16 წამყვანი უნივერსიტეტის წარმომადგენელი მონაწილეობდა. ქართველ და უცხოელ ახალგაზრდა არქეოლოგებს საშუალება ჰქონდათ, გაეანალიზებინათ და შეეძარებინათ — რა კეთდება ამ სფეროში მსოფლიო მასშტაბით, მათ შორის, საქართველოში“, — აღნიშნა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის მომართულების ხელმძღვანელმა, პროფესორმა ვახტანგ ლიჩელმა.

მისი აზრით, პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტსაც, რომ კონფერენცია, ტრა-



დიციულად, ოქსფორდის უნივერსიტეტთან ერთად იმართება, რომლის წარმომადგენელი წელსაც კლასიკური არქეოლოგიის დამსახურებული პროფესორი მაიკლ ვიკერსი იყო.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანი და სასიამოვნოა, რომ მსოფლიოში აღიარებული საუკეთესო მეცნიერისა და ლექტორის მაიკლ ვიკერსის დამოკიდებულება ქართველი სტუდენტების მიმართ განსაკუთრებულია. გასულ წელს მან წაიკითხა სალექციო კურსი ქართველი სტუდენტებისთვის, ამასთან, იგი

ყოველთვის ხალხით უწევს მათ კონსულტაციას და ცდილობს დაეხმაროს სხვადასხვა პრობლემების მოგვარებაში. უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი სტუდენტებისთვის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის“, — აღნიშნა ვახტანგ ლიჩელმა.

სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე ქართველი სტუდენტების მოხსენებებმა უცხოელი პროფესორების დიდი მოწონება დაიმსახურეს. ნაშრომების უმეტესობა ეთმობოდა მათ მიერვე სავლე



გათხრების დროს მოპოვებული არქეოლოგიური მასალის სამეცნიერო ანალიზს, რომელშიც თავადვე მონაწილეობდნენ. ვახტანგ ლიჩელის თქმით, ქართველი სტუდენტების წარმატება მთელი წლის დაუღალავი შრომის შედეგია, სტუდენტები ველზე ხედიან აღმოჩენების თანავტორები და შემდეგ სურვილის მიხედვით ირჩევენ თემატიკას, რის შედეგადაც იწყებენ ლაბორატორიულ და სამეცნიერო კვლევას. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სტუდენტები თავიანთ მოხსენებებს ინგლისურ ენაზე ამზადებენ — ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან საერთაშორისო კონფერენცია ინგლისურ ენაზე ტარდება. წელს ასევე საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს უცხოელმა არქეოლოგებმაც, რომლებმაც მსოფლიოში არქეოლოგიაში მომხდარი ახალი კვლევების შესახებ ისაუბრეს. როგორც ვახტანგ ლიჩელი ამბობს, ეს კონფერენცია საუკეთესო გზაა, რათა ქართველმა სტუდენტებმა თავიანთი სიტყვა თქვან ამ სფეროში საერთაშორისო ასპარეზზე.



„მიკროეკონომიკის თეორია: ძირითადი პრინციპები და გავრცობა“

საერთაშორისო დონის სახელმძღვანელო მაგისტრანტებისთვის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სტუდენტებს სულ მალე ახალი სახელმძღვანელო ექნებათ: „მიკროეკონომიკის თეორია: ძირითადი პრინციპები და გავრცობა“, რომელიც მსოფლიოს პრესტიჟულ უნივერსიტეტებში ასწავლიან. სახელმძღვანელო განკუთვნილია სწავლების მეორე საფეხურის სტუდენტებისთვის. ნიგნი ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც ბიზნესის ცვალებად გარემოში, მაღალ პროფესიონალურ დონეზე შეძლებენ მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების რეალიზებას. როგორც სახელმძღვანელოს სამეცნიერო რედაქტორი, პროფესორი ეთერ ხარაიშვილი აღნიშნავს: „სახელმძღვანელოთი სწავლება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მიკროეკონომიკური პრობლემების სიღრმისეულ შემეცნებას, მაღალკვალიფიციური ეკონომისტ-ანალიტიკოსების მომზადებას, რომელთაც ეკონომიკის სფეროში ექნებათ ფუნდამენტალური ცოდნა, მათემატიკური აპარატისა და კვლევის მეთოდების გამოყენების უნარ-ჩვევები ეკონომიკური და საზოგადოებრივი პოლიტიკის პრობლემების ანალიზის დროს“.

სახელმძღვანელოს სამეცნიერო რედაქტორია პროფესორი ეთერ ხარაიშვილი, სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან ასოცირებული პროფესორები: ი. გაგნიძე, მ. ნაცვალაძე, ი. ნაცვლიშვილი, მ. ჯავახიშვილი, დოქტორანტი ლ. ლაბაძე. სარედაქციო ჯგუფმა, ვიქტორბ, წარმატებით შეძლო ამ მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოს გამოცემა.

სახელმძღვანელო განკუთვნილია მაგისტრანტებისათვის. ცალკეული თემების გამოყენება დოქტორანტებისათვისაც მიზანშეწონილია. ის ასევე, გარკვეულ დახმარებას გაუწევს ბაკალავრიატის სტუდენტებს, რომელთაც სურთ სიღრმისეულად შეისწავლონ მიკროეკონომიკური თეორიები. ნიგნი მნიშვნელოვნად მიკროეკონომიკური თეორიების სწავლებითა და კვლევით დაინტერესებული აკადემიური პერსონალისთვის.

სახელმძღვანელოს ნაწილი უკვე დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში და სექტემბრიდან სტუდენტები უკვე შეძლებენ ამ საერთაშორისო დონის ნიგნით სწავლას.

სახელმძღვანელოს თარგმანსა და მომზადებას წინ საინტერესო, აქტიური, სწავლაზე და კვლევაზე ორიენტირებული პროცესები უძღოდა. თუ რა შედეგი მოგვიტანა ქართველი მეცნიერების ნაყოფიერმა თანამშრომლობამ, ამის შესახებ გვესაუბრება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი ეთერ ხარაიშვილი:

— მაგისტრატურის დონეზე აუცილებელია თეორიულად გაღრმავებული და ფუნდამენტური მიკროეკონომიკის კურსის სწავლება, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების ცოდნის გაფართოებას და გაღრმავებას სისტემური ანალიზის საფუძველზე, მათემატიკური აპარატის მნიშვნელოვანი გამოყენებით. სამწუხაროდ, ასეთი ტიპის სახელმძღვანელო ქართულ ენაზე არ არსებობდა, რაც გარკვეულ დაბრკოლებას ქმნიდა სტუდენტებისთვის. ამიტომ კათედრა აქტიურად ჩაება თსუ-ის რექტორის ინიციატივით მოქმედ სახელმძღვანელოების თარგმნის საუნივერსიტეტო პროექტში. შესაბამისად, გადავეწყვიტეთ, ბაზარზე წამყვანი მიკროეკონომიკის სახელმძღვანელოს „მიკროეკონომიკის თეორია: ძირითადი პრინციპები და გავრცობა“, მათემატიკური გამოცემის თარგმანს („Microeconomic Theory: Basic Principles and Extensions“ (Autors: Walter Nicholson, Christopher M.Snyder Publisher: Cengage Learning, II th Edition, 2011 ISBN-13: 978-1111525538. 784 pages). ნიგნი ეკუთვნის ცნობილ ეკონომისტ ვალტერ ნიკოლსონს, რომელმაც დოქტორის ხარისხი მასაჩუსეტსის უნივერსიტეტში მოიპოვა და ამჟამად აშშ-ში ემპირისტის კოლეჯის პროფესორია. ამ კონკრეტულ გამოცემაში მისი თანაავტორი გახლავთ დარტმუთის კოლეჯის პროფესორი ქრისტოფერ სნაიდერი. ამ სახელმძღვანელოთი ასწავლიან მაგისტრატურაში მსოფლიოს წამყვან

უნივერსიტეტებში. ამ ნიგნს ხუმრობით მიკროეკონომიკის ბიბლიასაც ეძახიან, რადგან მიუხედავად იმისა, რომ იგი საკმაოდ სქელტანიანია - 1076 გვერდი, 19 თავში ძალიან ლაკონურად, ყველაზე მკაფიოდ და ზუსტად არის წარმოდგენილი მონივრულ მიკროეკონომიკური კონცეფციები. რაც მთავარია, სახელმძღვანელოში გამოყენებული მათემატიკური აპარატის გათვალისწინებით, ნიგნი იდეალური სახელმძღვანელოა მაგისტრანტებისთვის. მისი საშუალებით შესაძლებელია მიკროეკონომიკის, როგორც კოორდინაციის, სტიმულებისა და მოტივაციის თეორიის შესწავლა უფრო მაღალ დონეზე, ეკონომიკური ეფექტიანობის კონცეფციის ანალიზის გაღრმავება ზოგადი წონასწორობის მოდელის საფუძველზე, გამოყენებითი პრობლემების განხილვა ბაკალავრიატის დონეზე ათვისებული მეთოდებით და სხვ. სახელმძღვანელოში გამახვილებულია ყურადღება მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივ კვლევაზე და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაზე. ნიგნი გამოცემებთან შედარებით, მეათე გამოცემაში თითქმის ყველა თავი გაუმჯობესებულია. მნიშვნელოვნად შეცვლილია მათემატიკური აპარატის შემცველი თემები, კერძოდ, განახლებულია დინამიკური ოპტიმიზაციის მოდელი (თავი 2). განსაკუთრებით აღსანიშნავია თამაშთა თეორიის ცნებების გაფართოებული და



ეკონომიკურ ანალიზსაც. ამ ამოცანების არეალი მეტად მნიშვნელოვანია გამოყენებითი თვალსაზრისით. განახლებულია ფორმის შესახებ არსებული თეორიები ფორმატეწილოლოგიისა და დანახარჯების ფუნქციის ანალიზით (თავები 9-11), გამოკვეთილია ზოგადი წონასწორობის მოდელი საყოველთაო და უნიკალური ნიშან-თვისებით (თავი 13), განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ისეთ სიტუაციებს, როდესაც ბაზარი ვერ უზრუნველყოფს წონასწორობის მიღწევას ან წონასწორობა არ არის ეფექტიანი. მიკროეკონომიკური თეორიის ამ ნაწილის მეთოდოლოგიურად ცოდნა, მაგისტრანტს წარმოდგენას მისცემს იმ საზღვრების შესახებ, რომლებშიც თავისუფალი ბაზარი რესურსების ეფექტიანი განაწილების გარანტიას იძლევა, ასევე, შეიარაღებს მათ ანალიზისა და ბაზრის ჩავარდნის კორექციის ცოდნის ინსტრუმენტებით, რომლებიც აუცილებელია პროფესიონალი ეკონომისტის თეორიული კვლევებისა და პრაქტიკული სამუშაოს განხორციელებისთვის. ნიგნი გაფართოებულია თავის მე-17 თავი კაპიტალისა და დროის შესახებ.

გარდა იმისა, რომ ნიგნი მარტივად ნასაკითხი ენით არის დაწერილი, მასში წარმოდგენილი მრავალი დახვეწილი გრაფიკი სტუდენტებს მასალის აღქმას გაუადვილებს. ასევე, ყოველი თავის ბოლოს მოცემულია ორი ტიპის ამოცანა: პირველი — მარტივი გამოსათვლელი საფარჯიმოები, რომლებიც სტუდენტს ინტუიციას გაუვარჯიშებს, ხოლო მეორე — ანალიტიკური, თეორიული და კომპლექსური ამოცანები, რომლებიც სტუდენტს მრავალჯერადობისა და რელატივიზმის უნარებს განუვითარებს.

ნიგნი მოცემულ თეორიულ მასალასა და მათ ემპირიულ გამოყენებას შორის კავშირების ასახვას სტუდენტებს ვთავაზობთ დანართებს. ზოგიერთ მათგანში მოცემულია ფუნქციური ფორმები, მათი გამოყენება შეუძლიათ მკვლევარებს, ხოლო სტუდენტები მიკროეკონომიკური თეორიისა და ეკონომიკური პრაქტიკის გაერთიანების აუცილებლობას დანახვან.

მოგეხსენებათ, ნიგნის სახელწოდებაა „მიკროეკონომიკური თეორია“. თუმცა, ეს არის ნიგნი არა მარტო თეორიაზე, არამედ ამ თეორიების რეალურ ცხოვრებაში გამოყენების შესაძლებლობებზე. ეს იმითაც არის განპირობებული, რომ ამ სახელმძღვანელოს ავტორებმა, უაღრესად პატივსაცემმა ეკონომისტებმა, თავიანთი სწავლების მდიდარი გამოცდილება ჩააქსოვეს წარმოდგენილ სახელმძღვანელოში, რამაც ნიგნი უფრო პრაქტიკული და გამოყენებადი გახადა.

მოამზადა თამარ დალიანა

თანამშრომლობის მემორანდუმი ქალთა საინფორმაციო ცენტრთან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ქალთა საინფორმაციო ცენტრს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ და ორგანიზაციის დირექტორმა ელენე რუსეცკაიამ მოაწერეს.

„გენდერული პრობლემები დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხია, რომელზეც ფოკუსირებულია როგორც კვლევითი დაწესებულებები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები. ეს მემორანდუმი ითვალისწინებს თსუ-სა და ქალთა საინფორმაციო ცენტრს შორის მჭიდრო ურთიერთობას, რაც შესაძლებლობას მისცემს ჩვენს სტუდენტებს უფრო ღრმად ჩაიხედონ იმ პრობლემებში, რომელიც გენდერთან არის დაკავშირებული, თავის მხრივ მემორანდუმის პირობები ქალთა საინფორმაციო ცენტრისთვისაც საინტერესოა — რა კვლევით რესურსს შევთავაზებთ ჩვენ მათ“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

„ჩვენი ორგანიზაცია ძირითადად ქალთა უფლებებზე მუშაობს და მიგვაჩნია,

რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აუდიტორიაა, რათა ქალთა მოძრაობა გაძლიერდეს ქვეყანაში, ვმუშაობთ სტუდენტებთან და ახალგაზრდებთანაც. ამიტომ, დავიწყეთ ურთიერთობა სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და მოხარულები ვართ, რომ დღეს შესაძლებლობა გვეძლევა გავფორმოთ მემორანდუმი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ასევე ჩავატაროთ პირველი ლექცია, რომელიც მიეძღვნება საკმაოდ აქტუალურ თემას — ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას“, — აღნიშნა ქალთა საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა ელენე რუსეცკაიამ.

მემორანდუმის ფარგლებში გენდერის თემაზე სტუდენტებისთვის საჯარო ლექციები და გასვლითი ტრენინგები გაიმართება. ტრენინგებზე შეირჩევა რამდენიმე აქტიური სტუდენტი, რომლებიც ქალთა საინფორმაციო ცენტრის ვებ-პორტალზე დასაქმდებიან და ანაზღაურებად სტაჟირებას გაივლიან. ორგანიზაცია ასევე გეგმავს დოკუმენტური ფილმის გადაღებას და ამ პროცესში სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართვას.

„ეს მემორანდუმი კარგი საშუალებაა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, რომ



პირველ რიგში მიიღონ მათთვის სასარგებლო ინფორმაცია გენდერის კუთხით, ასევე მომავალში ჩაუტარდებთ საინტერესო ტრენინგები. გარდა ამისა, ეძლევათ შესაძლებლობა შეხვედეთ სტაჟირება, რაც იშვიათი შემთხვევაა. იმედს გამოვთქვამ, რომ ეს პროგრამა სტუდენტებისთვის იქნება ძალიან სასარგებლო და ინფორმაციული“, — განაცხადა თსუ-ის სტუდენტმა მარი გელაშვილმა. თანამშრომლობის დოკუმენტის გაფორმების შემდეგ ქალთა საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა ნაიკიტხა საჯარო

ლექციას თემაზე: „ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა“.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი 15 წლის წინ დაარსდა და ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს: ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა, ქალთა უფლებების და გენდერის მხრივ სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი, ინსტიტუციური მექანიზმი და სხვა.



რეპრესიებამოვლილი მეცნიერის წარმატებები

25 მაისს ღვანლმოსილ მეცნიერს თამაზ კალაძეს 70 წელი შეუსრულდა. 1967 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე ბატონმა თამაზმა მუშაობა დაიწყო ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში.

იგი სტუდენტობიდან ჩაერთო სამეცნიერო საქმიანობაში. როგორც ბატონი თამაზი აღნიშნავს, უნივერსიტეტში მას ასწავლიდნენ საუკეთესო პედაგოგები და მეცნიერები: ვლადიმერ ჭელიძე, ალექო იშხნელი, ვაგან მამასახლისოვი, გივი ხუციშვილი, გურამ ჭილაშვილი; სადიპლომო ნამუშევრის ხელმძღვანელი იყო ნიკა გიორგაძე. ბატონი თამაზის პირველი სამეცნიერო ხელმძღვანელი ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე გახლდათ. ბატონმა თამაზმა 1974 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1990 წელს — სადოქტორო. იგი შესანიშნავად ფლობს და იყენებს მათემატიკურ აპარატს ფიზიკის აქტუალური პრობლემების კვლევისას. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა პლაზმის ფიზიკა, დედამიწის იონოსფერო, მინისფერების ფიზიკა. სამეცნიერო წარმატებებიდან აღსანიშნავია: 1) თერმობირთვულ დანადგარ ტოკამაკებში რეაქციის შედეგად გაჩენილი მაღალენერგიული ალფა ნაწილაკების მიერ გამოწვეული თერმობირთვული არამდგრადობების თეორიის შექმნა; 2) თერმობირთვულ დანადგარ ტოკამაკში მრუდწარმოებული მაგნიტური ველის პრობლემაში ტალღების გავრცელების თეორიის შექმნა; 3) დედამიწის იონოსფეროში გავრცელებადი ტალღების მიერ წარმოქმნილი არანრფივი სტრუქტურების (სოლიტონები, გრივალები, ზონალური ქარები) თეორიის შექმნა.



თამაზ კალაძე 225 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის 200 მაღალრეიტინგულ (იმპაქტ ფაქტორიან) ჟურნალებშია გამოქვეყნებული. მისი H-ინდექსი, Publish or Perish-ის მიხედვით, არის 12. მთელი რიგი ნაშრომებისა შექმნილი აქვს ცნობილ მეცნიერებთან (ვ. ფეტვიანი, ა. მიხაილოვსკი (რუსეთი), რ. საგდევი, ვ. ჰორტონი, ჯ. ვან-დამი, (აშშ) ლ. სტენფორდი (შვედეთი), პ. შუკლა (გერმანია), უ. ვუ (ჩინეთი)) თანავეტორობით.

საქართველოში პირველად მან დაიწყო ფიზიკური ამოცანების რიცხვითი გათვლების რეალიზაცია ელექტრონულ გამოთვლელ მანქანებზე.

მონაწილეობდა 50-ზე მეტ საერთაშორისო კონფერენციაში. მოპოვებული აქვს 9 საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო გრანტი.

თამაზ კალაძე არის პირველი ფიზიკოსი, რომელმაც 2002 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დადგენილებით მიიღო ილია ვეკუას სახელობის პრემია ნაშრომითა ციკლისთვის „არანრფივი განმზოლოებული გრივალები დედამიწის იონოსფეროში“.

2006 წელს საქართველოში განხორციელებული არაკვალიფიციური საგანმანათლებლო და სამეცნიერო რეფორმების შედეგად უნივერსიტეტში დაიხურა სამეცნიერო სექტორი. ბატონი თამაზი იძულებული იყო — გარკვეული დროით ნასულიყო სამუშაოდ საზღვარგარეთ. იგი 2005, 2007 წლებში მუშაობდა ჩინეთში ქ. ნანჯინგის სამეცნიერო ობსერვატორიაში მინერალური პროფესორის თანამდებობაზე, ხოლო 2007 წლიდან 2014 წლამდე პაკისტანში ქ. ლაჰორის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობაზე. ამ დანესებულებებში მან არა ერთი

მეცნიერი აღზარდა და დაიმსახურა უამრავი მაღლობა და ჯილდო.

2014 წელს ბატონი თამაზი დაბრუნდა გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. მისი ინიციატივით 2015 წლიდან ინსტიტუტის გაფართოებულ სემინარებს დამატება შეეცვია „ფიზიკისა და ბიოლოგიის პრობლემების მოდელირება“.

ამ აქტუალური სამეცნიერო მიმართულებით დიდი ხანია ინსტიტუტში მიმდინარეობს მუშაობა (თამაზ კალაძის, გიორგი აბურჯანიასა და ნინო ხატიაშვილის სამეცნიერო ჯგუფებში) და იმედა, რომ მომავალი წლიდან ამ მიმართულების განყოფილება გაიხსნება.


და ბოლოს, აღსანიშნავია თამაზ კალაძის, როგორც მოქალაქის, პოზიცია. ბატონი თამაზი არის არა მარტო შესანიშნავი მეცნიერი, არამედ სამშობლოსათვის თავდადებული უანგარო პიროვნება. იგი დღემდე იცავს იმ მარადიულ ფასეულობებს, რომლებმაც ქართველი ერი ათასწლეულები გამოაჯარა და გადაარჩინა.

ბატონი თამაზი იყო ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თანამებრძოლი, იგი 1978 წლიდან ეროვნულ გამათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაება და ბოლომდე უერთგულად იცავდა იდეალებს, რის გამოც 90-იან წლებში რეპრესირებული იყო. იგი დაიჭირეს. მას ციხეში ანამებდნენ კიდევ. მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევის შედეგად მოხერხდა მისი განთავისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი თამაზს ჯანმრთელობა საგრძობლად შეერყა, იგი მაინც ძველებური შემართებით განაგრძობს მეცნიერულ საქმიანობას.

წინა სატიპილი

კეთილი საქმეები არ იკარგება

გასული საუკუნის 90-იან წლებში განყნდა და მჭიდრო კავშირები საბჭოთა კავშირის ცნობილ სამეცნიერო ცენტრთან და იმდროინდელ გაუსაძლის პირობებში საქართველოს მეცნიერები მძიმე იზოლაციაში აღმოჩნდნენ. უხსოვარი დროიდან ურთიერთობების საუკეთესო ფორმას წარმოადგენდა საუბრები, სჯა-ბაასი, როდესაც მონაწილენი ერთმანეთს უზიარებენ მიღწევებს მეცნიერების და განათლების იმ სფეროებში, რომლებშიც გარკვეული კომპეტენცია აქვთ. ასე დაებადა იდეა ფიზიკის ფაკულტეტის ერთ-ერთ უძველეს თანამშრომელს, ბატონ ვლადიმერ (ბიჭიკო) ცინცაძეს.



ვლადიმერ ცინცაძემ 1953 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტი. როგორც მისი თანამედროვენი აღნიშნავენ, ბიჭიკო იყო ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი სტუდენტებს შორის და ამიტომაც დაიტოვა იგი ექსპერიმენტული ფიზიკის კათედრაზე აკადემიკოსმა ელეთერ ანდრონიკაშვილმა. მრავალფეროვანი და ნაყოფიერი იყო ბატონ ბიჭიკოს მოღვაწეობა ფაკულტეტზე. იმ პერიოდში შეიქმნა ცნობილი სასწავლო ლაბორატორიები, რომელშიც იგი აქტიურად მონაწილეობდა კოლეგებთან ერთად. მათ შორის იყო მსოფლიოში სახელგანთქმული ფიზიკოსი-ექსპერიმენტატორი გიორგი (გოგი) ჩიქოვანი. საკმაოდ მოკლე დროში ამ თაობამ იმდენად კარგი ლაბორატორიები შექმნა, რომ ისინი დღემდე პირნათლად ემსახურებიან სტუდენტებში ექსპერიმენტული ჩვევების გამომუშავებას. ეს ფაქტი დადასტურებულია ბევრი მათგანის მოღვაწეობით საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში თუ სამეცნიერო დაწესებულებებში, მათ შორის ყველასთვის კარგად ცნობილი

ამაქართველებზე ცერნში (შვეიცარია), დუბნაში (რუსეთი), ბატავიაში (აშშ) და სხვა. როგორც მეცნიერი, ბატონი ბიჭიკო აქტიურად მუშაობდა კოსმოსური სხივების ფიზიკაში, მონაწილეობდა იალბუზზე კოსმოსური ლაბორატორიის დადგენაში, აგრეთვე ცხრანყაროზე (ბაკურიანთან). ჰქონდა საკმაოდ ღირებული წინადადებები ექსპერიმენტების შესახებ ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკაში.

აი, ასეთი კვალიფიციური პიროვნება სათავეში ჩაუდგა საინტერესო საქმეს — ჩამოაყალიბა მუდმივმოქმედი (რეგულარული) ლექცია-სემინარები.

ბატონ ბიჭიკოს უამრავი თანამოაზრე გამოუჩნდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1995 წლიდან კვირაში სამჯერ სემინარები რეგულარულად ტარდებოდა. თუ გადავხედავთ სემინარების თემატიკას და მის მონაწილეებს, თვალში გვეცემათ ლონისიების მაღალი დონე და მრავალფეროვნება, საკითხების ფართო სპექტრი. ვინ არ მონაწილეობდა ამ საუბრებში — ფიზიკოსი, ქიმიკოსი, ბიოლოგი, ექიმი, მათემატიკოსი, ფსიქოლოგი, ლიტერატორი, პოლიტიკოსი, ისტორიკოსი და ა.შ.

განსაკუთრებით საინტერესო იყო იმ მეცნიერთა მონაწილეობა, რომლებიც წარმატებულად მოღვაწეობენ საზღვარგარეთის

უნივერსიტეტებში. სემინარის მუდმივ მონაწილეთა შორის ძირითადი მასა ხანდაზმულია. ეს არც არის გასაკვირი. მეტ-ნაკლებად წარმატებული ახალგაზრდობა ხომ გაიკრიფა საზღვარგარეთ. ბატონი ბიჭიკო მუდამ სადარაჯოზე იდგა — როგორც კი გაიგებდა, რომ ვინმე ჩამოდისო მცირე ხნით, მაშინვე დაუდარაჯდებოდა და პირველ რიგში ამ სემინარზე მოიყვანდა. მაგალითად, მოინვია სახელგანთქმული ფიზიკოსები: ვია დვალი, გიგა გაბადაძე და სხვები. აკადემიკოსი თენგიზ სანაძე ხომ სემინარის მუდმივი მსმენელი და აქტიური მომხსენებელი გახლდათ.

ამჟამად უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ სემინარმა მუშაობა არ შეწყვიტოს. იმ ვითარებაში თუ მოიქცევა ასეთი „სტაჟიანი“ ლონისიები. უკვე 20 წელი სრულდება, რაც სემინარი ფუნქციონირებს, მაგრამ ინტერესი ჯერაც არ შენელებულა. ყველა მონაწილე ცდილობს თავისი დანაწი შეიტანოს მუშაობაში. სწორედ ამიტომაც სემინარის სხდომები საინტერესო. დღეს ბატონ ბიჭიკოს ინიციატივას აგრძელებენ სემინარის აქტიური მონაწილენი.

ანსორ ხალაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

„ქალიან მოკლე შესავლები“ — პრეზენტაცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობამ წიგნის XVII საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში ოქტომბრის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ შედგენილი „ქალიან მოკლე შესავლები“ სერიის პრეზენტაცია გამართა. ლონისიები ებაზე წარმოდგენილი იყო სერიის წიგნი: ლიტერატურის თეორია; ნაწილაკების ფიზიკა; ისტორია; მათემატიკა; ცნობიერება; სამართლის ფილოსოფია.

მოკლე შესავლებს სხვადასხვა მეცნიერებებში ქართულ ენაზე გაეცნობა დანტერესებული მკითხველი. პრეზენტაციაში თსუ-ის სტუდენტები, სერიის მთავარი რედაქტორი ქეთევან ქურდოვანიძე მონაწილეობდნენ. ოქტომბრის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული წიგნების სერია — ქალიან მოკლე შესავალი — მრავალ საინ-

ტერესო სამეცნიერო თუ კულტურულ ასპექტს მოიცავს, ძველი ეგვიპტისა თუ ინდური ფილოსოფიით დაწყებული და კონცეპტუალური ხელოვნებითა თუ კოსმოლოგიით დამთავრებული.

ახლო მომავალში დაგეგმილია შემდეგი ტომების გამოცემა: ფსიქოლოგია; არქეოლოგია; სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია; კოსმოლოგია; ლინგვისტიკა; დროის ისტორია.

ოქტომბრის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ შედგენილი მეცნიერების სხვადასხვა დარგში ქალიან მოკლე შესავლების სერია თორმეტტომეულია, რომლის თარგმანსაც თსუ-ის გამომცემლობა ახლო მომავალში გეგმავს.

წიგნების შექმნა შესაძლებელია თსუ-ის წიგნების მალაზიაში Scripta Manent, მისამართზე ი. ჭავჭავაძის გამზ. №1, თსუ-ის პირველი კორპუსის ფოიე.

მსოფლიოში უნიკალური ფორმის სტალაქტიტებს თსუ მეცნიერები შეისწავლიან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგები რაჭაში, ნაქერალას უღელტეხილზე არსებული უიშვიათესი მონაცემების მქონე კარსტული მღვიმის შესწავლა დაიწყეს.

ნაქერალას უღელტეხილზე რამდენიმე წლის წინ აღმოჩენილ მღვიმეში (მურადის მღვიმე) მთამსვლელთა და მოგზაურთა ჯგუფ „თეთნულდის“ წევრებმა უნიკალურ ნაღვეთ ფორმებს მიაკვლია. მღვიმეში არსებული მსოფლიოში უიშვიათესი ნაღვეთი ფორმები — სტალაქტიტები მსოფლიო მეცნიერთა სერიოზული შესწავლის საგანი შეიძლება გახდეს. აღნიშნული ფორმის სტალაქტიტების წარმოქმნის მექანიზმის დადგენა, მათი შე-

მადგენლობის, მათზე წყლის, ჰაერის მასების, მიკროორგანიზმების ზემოქმედების სამეცნიერო კვლევა მსოფლიო დონის სპელეოლოგთა დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს.

მღვიმის სამეცნიერო შესწავლა და მისი უნიკალური პოპულარიზაცია ხელს შეუწყობს სპელეოლოგიური მეცნიერების, აგრეთვე, სპელეო და ექსტრემალური ტურიზმის განვითარებას.

თსუ-ის დოქტორანტის, საქართველოს სპელეოლოგიური საზოგადოების წევრის ლაშა ასანიძის განცხადებით, აუცილებელია ამ მღვიმის დაცვა, რათა არ განადგურდეს მღვიმეში არსებული და სრულიად შეუსწავლელი ნაღვეთი ფორმები. აგრეთვე, დასარგულირებელია მიმდებარე ტერიტორიაზე ტყის მასივის შენარჩუნების სა-

კითხი, რადგან მღვიმესთან ახლოს იჩებება მრავალწლოვანი ხეები.

თსუ-ის სპელეოლოგთა განცხადებით, უიშვიათესი ფორმის სტალაქტიტები ამ მღვიმისთვის ბუნების ძეგლის სტატუსის მინიჭების საფუძველი გახდება.



გახსენება

დაუპინყარი

რენს უნივერსიტეტს ბევრი დიდი ადამიანი ახსოვს. გვყავდნენ გამოჩენილი მეცნიერები, ბრწყინვალე პედაგოგები, გულსხმიერი კოლეგები, გამორჩეული პატრიოტები, საოცარი იუმორის კოლორიტები, სტუდენტების განსაკუთრებული სიყვარულით განებულნი ლექტორები, უბრალოდ პატიოსანი, კაცური კაცები. მაგრამ ალბათ ძალიან ცოტა თუ იქნება ისეთი პიროვნება, რომელშიც ყველა ეს ღირსება ერთად იქნებოდა თავმოყრილი. ბატონი ალექსანდრე რონდელის იშვიათი გამონაკლისი იყო, რომელშიც ყველა ეს დადებითი თვისება ჩანდა, რაც ჭეშმარიტ ქართველ ინტელიგენტს, მეცნიერ-პედაგოგს და მამულიშვილს განასახიერებდა. ამ სიტყვებს გადაჭარბებულად არ ჩათვლის არავინ, ვისაც ბედნიერება ჰქონდა პირადად სცნობოდა იგი.



ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლის, მწერლის და კინორეჟისორის დავით რონდელისა და ჭეშმარიტი არისტოკრატის ნინო ამირეჯიბის ვაჟს ოჯახიდან მოყვებოდა მაღალი კულტურა და პიროვნული ხიბლი, რაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ყველაზე, ვინც თუნდაც მცირე ხნით შეხვდებოდა და მოუხმენდა მას. გაცუბას ინვესტა მისი ენციკლოპედიური ერუდიცია ისტორიის, გეოგრაფიის, პოლიტიკის, ეკონომიკის თუ სოციოლოგიის საკითხებზე, ქართული, რუსული, ევროპული და აღმოსავლური მხატვრული ლიტერატურის ბრწყინვალე ცოდნა, თავისუფლად ლაპარაკი რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და სპარსულ ენებზე. ბატონი ალექსანდრე იყო კლასიკური მუსიკის დიდი მცოდნე და ჰქონდა მსოფლიო საოპერო და სიმფონიური მუსიკის შედეგების ჩანაწერების უმდიდრესი კოლექცია. იმავდროულად იგი იყო ფეხბურთის ფანატიკურად მოყვარული და თბილისის „დინამოს“ თავდავიწყებული გულშემატიკარი (იყო წლები, როცა არა თუ „დინამოს“ თამაშს, არამედ ვარჯიშსაც არ აცდენდა). ისიც უნდა ითქვას, რომ ალიკა (ასე უწოდებდნენ მას არა მარტო კოლეგები და მეგობრები, არამედ სტუდენტებიც) არასოდეს აკლდებოდა მეგობრულ შეხვედრებს არაფორმალურ ვითარებაში. ყველას გულწრფელად გვიკვირდა, როგორ ახსრებდა ეს კაცი ამდენს და ყველაფრისთვის ნახულობდა დროს.

სი სტუდენტებისთვის იგი არა მხოლოდ პედაგოგი, არამედ მეგობარიც იყო. მკაცრი გამომცდელი და შემფასებელი, ძალიან გულსხმიერი და ყურადღებიანი მზრუნველი გახლდათ თავისი აღზრდილებისათვის. პირადად გამოიჭირებდა გავიხსენო უნივერსიტეტის სხვა პროფესორი, რომელსაც იმდენი თავისი სტუდენტის პროფესიულ წინსვლაში (საზღვარგარეთ გაგზავნა სასწავლებლად, სამეცნიერო და პრაქტიკული კარიერის ხელშეწყობა და ა. შ.) შეეძინა პირადი წვლილი, რამდენის მიმართაც ეს ბატონმა ალექსანდრემ გააკეთა.

კეთილშობილებისა და სიკეთის თვისების პარალელურად ბატონი ალექსანდრე უაღრესად პრინციპული და შეურიგებელი იყო, ყოველივე უკეთურობისა და მანკიერების მიმართ. მისთვის წარმოუდგენელი იყო ოდნავი კომპრომისიც კი კორუფციის, ნეპოტიზმის, არაპატიოსნების თუნდაც სულ უბრალო გამოვლინებასთან. იგი ბევრჯერ დაპირისპირებდა ასეთ მოვლენებს, რამაც არაერთი მტერი და მოწინააღმდეგე გაუჩინა მას, მაგრამ არასოდეს ერთი ნაბიჯითაც კი არ დაუხევია უკან.

1991 წელს, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სპეციალისტის ეროვნული კადრების მომზადების საჭიროება დადგა. ამ მიზნით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნდა საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი. საერთაშორისო ურთიერთობების კათედრის პირველ გამგედ ალექსანდრე რონდელი დაინიშნა. ამ დროისთვის ის უკვე კარგად ცნობილი იყო უცხოელი პოლიტოლოგებისა და

ურუნალისტებისთვის, როგორც კვალიფიციური ექსპერტი საქართველოს პოლიტიკურ პრობლემებში, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობების საუნივერსიტეტო სპეციალისტის შექმნას (რომლის არც ტრადიცია და არც გამოცდილება მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში არ არსებობდა) სულ სხვა ძალისხმევა სჭირდებოდა. ალექსანდრე რონდელს ორმოცდაათი წლის ასაკში მოუწია მესამე სპეციალისტის დაუფლებოდა. (განათლებით იგი აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსი იყო, ასპირანტურა კი სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით დაამთავრა და დისერტაციაც გეოგრაფიაში დაიცვა). აშშ-ში, კერძოდ პრინსტონის უნივერსიტეტში ხანგრძლივადიანი სტაჟირებისა და ამერიკულ კოლეგებთან ინტენსიური კავშირების შედეგად ბატონმა ალექსანდრემ შექმნა საერთაშორისო ურთიერთობების საუნივერსიტეტო პროგრამა, რომელიც ევროპისა და ამერიკის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილებას ემყარებოდა. ამით საფუძვლი ჩაეყარა საერთაშორისო ურთიერთობების საუნივერსიტეტო სპეციალობის საქართველოში და ამ დარგის ქართული სამეცნიერო სკოლის შექმნას. ბატონმა ალექსანდრემ ითავა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული კურსების წაკითხვა (სრულიად ახალი დისციპლინები პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის), და რაც მთავარია, გამოსცა საერთაშორისო ურთიერთობების სახელმძღვანელო ქართულ ენაზე, რომელიც ამ სფეროში თეორიული ხასიათის პირველი სახელმძღვანელო იყო ყოფილ საბჭოთა სივრცეში. განსაკუთრებით ღირებულია მისი მონოგრაფია „პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში“, რომელიც სამაგიდო წიგნად იქცა საერ-

თაშორისო ურთიერთობების ქართველი სპეციალისტებისთვის.

ალექსანდრე რონდელის მიერ პრაქტიკულად წულიდან შექმნილი საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობა, თავის არსებობის თითქმის 25 წლის მანძილზე იქცა ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ და მოთხოვნად დარგად საქართველოში. ამ სპეციალობის კურსდამთავრებულები აქტიურად მოღვაწეობენ საჯარო თუ არასამთავრობო სექტორის სხვადასხვა სფეროში. მათ შორის არიან ყველა სათვის კარგად ცნობილი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეები, მინისტრები, ელჩები, პარლამენტარები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საერთაშორისო ურთიერთობების ქართული სამეცნიერო სკოლა, რომლის უკლებლივ ყველა წარმომადგენელი ბატონი ალექსანდრეს აღზრდილია.

1997 წლიდან ალექსანდრე რონდელი საქართველოს საერთაშორისო და სტრატეგიული კვლევების ფონდის პრეზიდენტია. ამ ორგანიზაციამ ბევრი, უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა ჩვენს ქვეყანაში და არაერთ სასიკეთო საქმეს დაუდო სათავე. ყოველივე ამასი დიდი ბატონ ალექსანდრეს დამსახურება.

აღსანიშნავია ალექსანდრე რონდელის უამრავი ინტერვიუ, შეხვედრა უცხოელ კოლეგებთან და გამოსვლები კონფერენციებზე, სადაც იგი პრინციპულად, შეუპოვრად და სიღრმისეულად იცავს საქართველოს ინტერესებს, არ ერიდება რუსეთის აგრესიული იყო ყველა იმ ნაკლის მიმართ, რაც ერს ახასიათებდა და ასეთივე სულისკვეთებით ზრდიდა სტუდენტებსაც.

მაღალი პროფესიონალიზმისა და პირადი თვისებების გამო ალექსანდრე რონდელი უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა ჩვენშიც და უცხოეთშიც. იგი იყო აშშ-ის რამდენიმე უნივერსიტეტისა და კოლეჯის მინვესტი პროფესორი.

ბოლო თვეებში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. მიუხედავად ამისა, მას ერთი წუთით არ დაუკარგავს ოპტიმიზმი და ხვალისდელ დღეზე ფიქრი. ასე იუმორითა და ხუმრობით შეეგება იგი სიკვდილს.

არ მინდა ალიკა რონდელის გამოსათხოვარი ტრაფარეტული სიტყვებით დავამთავრო, მაგრამ ყველა დამეთანხმება, რომ „ის ერთი სხვა იყო მაინც, კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“ და პირველ რიგში ჩვენს უნივერსიტეტს. ისიც ფაქტია, რომ არ შეიძლება რომელიმე ჩვენთაგანს ოდესმე დაავინყდეს ეს ყველასთვის ძვირფასი ადამიანი, მისი ლექციები, საუბარი, ხუმრობები და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ალიკასული მისალმება: „დინამო!“, „ვა იუზგარ?“ „საით კნიაზჯან?“.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, დილო ადამიანო!

ზურაბ დავითაშვილი,
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის ხელმძღვანელი



მუდამ გვემსახურები

ლეიკემიის უმძიმეს დაავადებასთან თითქმის ერთწლიანი ბრძოლის შემდეგ გარდაიცვალა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის მიმართულების II კურსის სტუდენტი გიორგი შარიფაშვილი. გიორგი დიდი დანაკლისია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის. იგი გამორჩეული პიროვნული თვისებების მქონე, უზომოდ მეგობრული ადამიანი და სრულიად განსაკუთრებული პერსპექტივის მქონე სტუდენტი იყო, რომელმაც უმოკლეს დროში შეძლო სტუდენტებისა და პროფესორების საერთო სიყვარულისა და პატივისცემის დამსახურება.

ჩვენ, თსუ-ის სტუდენტები და პროფესორები სამძიმარს და თანადგომას ვუცხადებთ მის ოჯახს.
გიო, ჩვენ გვიყვარხარ და მუდამ გვემსახურები!

*შენი მეგობრები და ლექტორები
შენი უნივერსიტეტიდან*

ის, რაც ახლა უნდა დავეწერო, ძალიან მძიმე და მტკივნეულია — გიორგის უნდა დავემშვიდობო.

გიორგი ერთ წელზე ცოტა მეტ ხანს იყო ჩემი სტუდენტი და ჩემი ექსპედიციის წევრი. ამიტომ ვიცი, რასაც ვწერ:

გიორგის წასვლით ახალგაზრდობამ დაკარგა შესანიშნავი მეგობარი, უნივერსიტეტმა — სამაგალითო სტუდენტი,

საქართველომ — უნესიერესი მოქალაქე, ინტელექტუალურმა საზოგადოებამ — ღირსეული წევრი, ხოლო მომავლის მეცნიერებამ — გამორჩეული წარმომადგენელი.

მარტივად კი ასე ვიტყვი — გიორგის წასვლით ქართული არქეოლოგიის რომელიც ბრწყინვალე ფურცელი სამუდამოდ გადაუშლელი დარჩა.

ვახტანგ ლიჩაილი,
პროფესორი, არქეოლოგი



„არ გვებონა თუ ამდენი იყავით, ამდენი და ასე კარგები!“



„სხვანაირი, რალაცნაირი თაობა მოდის, ჩვენ არ გავს“ — მსგავსი საუნუნო სიტყვები უკან წაიღო ბევრმა, როცა 13 ივნისს, ღამით, სტიქიის შედეგად თბილისში დატრიალებული ტრაგედიიდან მეორე დღეს გამართა მოედნის, ზოოპარკისა და „მზიურის“ მიმდებარე ტერიტორიებზე სტიქიის შედეგად დაზიანებული მიწისზედა საფარის განმენდით სამუშაოებში ახალგაზრდობაც აქტიურად, საკუთარი ნება-სურვილით ჩაერთო. „ჩვენ არ გვინდოდა პიარ-აქციის სახე მიგვეცა ამ მსვლელობისთვის. უხმაურად გვინდოდა ჩვენს ხალხს გვერდით დავდგომოდით“, — გვითხრა განმენდით სამუშაოებში დასახმარებლად მიმავალმა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა შალვა საბაურმა, რომელსაც უკან სტუდენტური თვითმმართველობის წევრები, თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტისა და თსუ-ის რაგბის ნაკრების წარმომადგენლებიც მიჰყვებოდნენ. უნივერსიტეტის სხვა სტუდენტები კი ინდივიდუალურად არიან გადანაწილებულნი ქალაქის სხვადასხვა ტერიტორიაზე.



„ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა. ამ სტიქიას კატასტროფული შედეგები მოჰყვა — ბევრი ადამიანი დაიღუპა, მათ შორის თსუ-ის სტუდენტებიც. დღეიდან ყველაფერს სხვა თვალთუწად ვხედავთ. სტიქიასთან საბრძოლველი რალაც კრიზისული გეგმა უნდა არსებობდეს სახელმწიფოს მასშტაბით, რომლის მიხედვითაც ვიმოქმედებდით. მოხალისეთა მონაწილეობაც უფრო მეტად ორგანიზებული უნდა იყოს, თუმცა, ვფიქრობ, რომ მოსახლეობისა და ადგილობრივი სტრუქტურების ერთობლივმა მოქმედებამ გარკვეული შედეგები გამოიღო, რის საფუძველზეც სტიქიით გამოწვეული პრობლემები მალე მოგვარდება. სტუდენტები მანამ ვიქნებით ჩართული ყველა სამუშაოში, სანამ ამას ჩვენგან დღეს

შექმნილი სიტუაცია მოითხოვს“, — აღნიშნა შალვა საბაურმა. სტუდენტური თვითმმართველობის წევრები, თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტისა და თსუ-ის რაგბის ნაკრების წარმომადგენლები უნივერსიტეტის ეზოში 15 ივნისს დილით შეიკრიბნენ. როგორც თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა განაცხადა, სტუდენტები სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად ტანსაცმლისა და სხვადასხვა საკვები პროდუქტის შეგროვებასაც იწყებენ და დაელოდებიან მერიის შესაბამისი სამსახურების მხრიდან მითითებას, თუ სად მიიტანონ შეგროვებული პროდუქტი და ტანსაცმელი.

ქალიან დაგვწყვიტა ყველას გული, რომ ამ ქვეყნიდან წავიდა...

ვლადიმერ პაპაძე: თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი

— ჩემი ურთიერთობა ალექსანდრე რონდელთან იწყება გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველი ნახევრიდან. თავიდანვე იგი ფრიად განათლებული, კულტურული და კეთილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ჩვენი ურთიერთობა სამსახურებრივ ურთიერთობაში გადაიზარდა, როდესაც 2001 წელს, ამერიკელების მინივერსიტეტში, მუშაობა დაიწყო საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდში, რომლის პრეზიდენტი და ერთ-ერთი დამაარსებელი გახლდათ ალექსანდრე რონდელი. ამ პერიოდში მოყოლებული ერთად ვმუშაობდით. როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელი, იგი იყო ძალზედ კონსტრუქციული, გამორჩეული პიროვნება თავისი დემოკრატიული თვისებებით.

განსაკუთრებით მინდა გავიხსენო ის მძიმე წლები, რომელიც დაკავშირებულია ნაციონალების მმართველობასთან. მაშინ ღამის მთელი საქართველო იყო გაყოფილი და დაპირისპირებული და, ბუნებრივია, რომ ჩვენი ერთ, მცირე ფონდშიც იყო აზრთა განსხვავება. აქაც იყვნენ დაპირისპირებული მხარეები, მაგრამ სწორედ ალექსანდრე რონდელის უდიდესი დამსახურება გახლდათ, რომ ეს დაპირისპირება არ გადაზრდილა მტრობაში, ეს დაპირისპირება რჩებოდა როგორც შეხედულებათა სხვადასხვაობა, ანუ ყველას ჰქონდა განსხვავებული აზრის გამოთქმის შესაძლებლობა. ხშირად უცხოელები ამბობდნენ კიდევ, რომ ჩვენი ფონდი არის მომავალი საქართველოს დემოკრატიული მოწყობის მოდელი. ამას ბატონი ალექსანდრე თავისი ბუნებიდან გამომდინარე ახერხებდა. ჩვენც არაერთხელ გვიკამათია სხვადასხვა თემებზე საკმაოდ მწვავედ, განსაკუთრებით პოლიტიკურ თემებზე, მაგრამ ეს კამათი არასდროს გადაზრდილა ისეთ ურთიერთობაში, რაც ორივე მხარეს დაწყევტდა გულს.

იგი იყო ჩემი უფროსი მეგობარი, რომელსაც ძალიან დიდ პატივს ვცემდი. თუკი რაიმეს დავენდოდი, პირველი მას ვაჩვენებდი. დიდებული ადამიანი იყო. ალექსანდრე რონდელი გახლდათ საქართველოში საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის დარგში პიონერი. მან საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში გამოზარდა პირველი მკვლევარების არა ერთი თაობა, რომლებიც დღეს სხვადასხვა დიპლომატიურ მისიებში, საქართველოს მთავრობაში (როგორც წინა თაობის მთავრობაში, ასევე ამჟამინდელი ხელისუფლების შტოებში) არიან წარმოდგენილნი. დარწმუნებული ვარ, ასეთ მაღალ პოზიციაზე მომავალშიც იქნება მისი არა ერთი მონაფე.

ალექსანდრე რონდელის პუბლიკაციები აღიარებული იყო როგორც ქართულ სამეცნიერო საექსპერტო სივრცეში, ასევე, უცხოელ სპეციალისტთა შორისაც. მას განსაკუთრებული ურთიერთობები ჰქონდა დამყარებული საქართველოში აკრედიტებულ ყველა საელჩოსთან. ყველა ელჩი თვლიდა, რომ მისთვის მნიშვნელოვანი იყო ამა თუ იმ მწვავე საკითხზე გაეგო ალექსანდრე რონდელის შეხედულება.

ალექსანდრე რონდელმა, ასევე, მეცნიერების ამ სფე-



როში დაამკვიდრა არაფორმალური დისკუსიების ფორმატი. საერთოდ, ამ დარგის მეცნიერები თვლიან, რომ ალექსანდრე რონდელი არის საქართველოში საერთაშორისო ურთიერთობათა ქართული სკოლის ფუძემდებელი, რასაც სრულად ვიზიარებ. იგი საკმაოდ პოპულარული გახლდათ ახალგაზრდებში, ლექციებს კითხულობდა უნიკალურად — ეს ვიცით იმ შეფასებებიდან, რომლებიც მოდიოდა სტუდენტებიდან... მისი მიმართება აუდიტორიასთან ყოველთვის იყო დაფუძნებული უშუალობასთან, კომუნიკაბელურობასთან და, რაც მთავარია, იგი იყო კარგი მთხრობელი. ძალიან დაგვწყვიტა ყველას გული, რომ ამ ქვეყნიდან წავიდა. ღმერთმა გაანათლოს მისი სული!

თსუ მწუსარებას გამოთქვამს ალექსანდრე რონდელის გარდაცვალების გამო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მწუსარებას გამოთქვამს თსუ-ის პროფესორის ალექსანდრე რონდელის გარდაცვალების გამო.

ალექსანდრე რონდელის სამოქალაქო პანაშვიდი 16 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში გაიმართა.

ალექსანდრე რონდელი იყო გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის პრეზიდენტი. 1991-1996 წლებში ალექსანდრე რონდელი გახლდათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა კათედრის გამგე, 1997-2001 წლებში — საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის დირექტორი. 1976-1977 წლებში ალექსანდრე რონდელმა სტაჟირება გაიარა ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლაში, ხოლო 1993-1994 წლებში — ვუდრო ვულსონის სახელობის საზოგადოებრივ და საერთაშორისო საქმეთა სკოლაში (პრინსტონის უნივერსიტეტი, აშშ). 1991 წელს ალექსანდრე რონდელი იყო მოწვეული პროფესორი ამერიკის უნივერსიტეტში (აშშ), 1995 წელს - მაუსეთ უილიამს კოლეჯში (აშშ), 1992, 1995 და 1997 წლებში — უილიამს კოლეჯში.

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედაქციის მენეჯერი:	მისამართი:
მთავარი სამცხალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდენიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური, არსენ გვენეტაძე, ირაკლი კობახიძე, შალვა აბზიანიძე	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11*
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე		(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ფოტოკომპიუტერული მუშაობის უფროსი	ანა ბოლქვაძე		tsunewsaper@tsu.ge
კომპ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი		2 22 36 62

